პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 19 (14015) | ოთხშაბათი, 24 იანვარი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი — ვადამდე!

ტექნიკა, კადრები, სიუხვე

„საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური აქტივის კრების მოსამზადებელი მიმართვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ტექნიკოსებისა და ყველა მშრომელისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! ახლა ჩვენს სამშობლოში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, შრომობს კომუნისტური მშენებლობის დამკვრელურ ფრონტზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის, მოსახლეობის პროდუქტებით, ხოლო მსუბუქი და კვების მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლაში კოლმეურნე გლეხობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის მუშები, სპეციალისტები, „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებათა ყველა მუშაკი.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეული, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოება. შესრულებულია სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტთა მიყიდვის საიუბილეო წლის ვალდებულებანი. ამალლდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. ყველა ეს წარმატება მოპოვებულია სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებული შრომის, პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვისა და ყოველდღიური დახმარების შედეგად.

მიუხედავად ამისა, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში ნაკლოვანებანიც არის. მარტო ის ფაქტი, რომ ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებსა და რგოლებში სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურებს, აგრეთვე მარცვლეულის მოსავლიანობა მეტია, ვიდრე ამ კულტურების საშუალო მოსავლიანობა რესპუბლიკაში, მოწმობს, რომ სოფლის მეურნეობაში გვაქვს გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი. ამ რეზერვების ამოქმედება ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მუშაობენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები და, რა დახმარებას უწევენ მათ ჩვენი სისტემის მუშაკები და მექანიზატორები.

ჩვენ, „საქსოფლტექნიკის“ აქტივის კრების მონაწილეებს, გვესმის, რომ კოლმეურნეებთან და საბჭოთა მეურნეობების მუშებთან, სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკებთან, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან ერთად დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ, რათა რაც შეიძლება მალე აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი და სამშობლოს მივცეთ სოფლის მეურნეობის რაც შეიძლება მეტი პროდუქტი.

კრების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ 1967 წელს ქართველმა მექანიზატორებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს, ჩვენი ქვეყნის ნახევარი საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ახლა მუხრავალედ ვუმეორთ მხარს ჩვენი ქვეყნის მოწინავე მექანიზატორთა პატრიოტულ თაოსნობას, რომ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

ხუთწლედის გეგმა საწარმოო საქმიანობის დარგში შევასრულოთ 4 წლისა და ათ თვეში, ხოლო მომარაგება-გასაღების დარგში — 4 წლისა და 11 თვეში;

სარემონტო ბაზის გაფართოებით, სპეციალიზაციისა და ინდუსტრიული მეთოდების დანერგვით მკვეთრად გავაუმჯობესოთ სარემონტო სამუშაოთა ხარისხი და ხუთწლედის დარჩენილ 3 წელიწადში შევასრულოთ 30 მილიონი მანეთისაზე მეტი ღირებულების სარემონტო სამუშაოები. ამ დროის მანძილზე შევაკეთოთ 14.630 ტრაქტორი, 2.810 კომბაინი, 8.700 ავტომობილი, 18.300 ტრაქტორის, კომბაინისა და ავტომობილის ძრავა, ღვადგინოთ 2.500 ათასი მანეთის გაცვეთილი დეტალები.

აქედან 1969 წელს შევაკეთოთ 4.730 ტრაქტორი, 570 კომბაინი, 1.750 ავტომობილი, 5.050 ტრაქტორის, კომბაინისა და ავტომობილის ძრავა, აღვადგინოთ 750 ათასი მანეთის გაცვეთილი დეტალები.

ჩვენი სარემონტო საწარმოები კისრულობენ ვალდებულებას გარემონტებულ ტრაქტორებზე, კომბაინებზე, ავტომანქანებსა და სხვა ტექნიკაზე გასცენ საგარანტიო პასპორტები.

1970 წელს მთლიანად დავამთავროთ სარემონტო ბაზის რეკონსტრუქცია, საექსპლოატაციოდ გადავცეთ ორი მძლავრი ავტოსარემონტო ქარხანა: ქარელის სატვირთო ავტომანქანებისა და საგარეჯოს „გაზ-69“ მსუბუქი ავტომანქანებისა. დავამთავროთ სარემონტო ქსელის სპეციალიზაცია, გავაფართოოთ ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურების ქსელი იმ ანგარიშით, რომ ხუთწლედის დამლევისათვის მოვემსახუროთ სოფლის მეურნეობაში მომუშავე ავტოტრანსპორტის სულ ცოტა 55-60 პროცენტს. კიდევ უფრო გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურების მოცულობა.

დიდმწარმოებლურად გამოვიყენოთ საუთარი მანქანა-ტრაქტორის პარკი და 1968-1970 წლებში შევასრულოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიზებული სამუშაოები 6.450 ათას ჰექტარზე რბილ ხვნაზე გადაყვანით, აქედან, 1968 წელს — 1.950 ათას ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.800 ათასი ჰექტარისა.

დარჩენილ სამ წელიწადში მოვაწყოთ 53,5 ათასი ჰექტარის (ფიზიკური) პლანტაჟი, ამოვძირკვოთ 50 ათასი ჰექტარი, ვუმკურნალოთ მრავალწლოვან ნარგავებს 140 ათას ჰექტარ ფართობზე, ქვებისაგან გავწმინდოთ 18,6 ათასი ჰექტარი ფართობი. აქედან 1968 წელს მოვაწყოთ 17,5 ათასი ჰექტარის პლანტაჟი, ამოვძირკვოთ 14 ათასი ჰექტარი, ვუმკურნალოთ მრავალწლოვან ნარგავებს 45,5 ათას ჰექტარ ფართობზე, ქვებისაგან გავწმინდოთ ნაკვეთები 5 ათას ჰექტარ ფართობზე.

გავზარდოთ სპეციალიზებული რაზმებისა და ბრიგადების რიცხვი. ერთი პირობითი ჰექტარის თვითღირებულება შევამციროთ 10 კაპიკით, 3 პროცენტით დავზოგოთ საწვავი, ტრაქტორის დღიური დატვირთვა 2,2 ჰექტარიდან გავზარდოთ სამამდე, ხოლო სეზონური — 460 ჰექტარამდე.

კოლხეთის ზონის „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებანი ვალდებულებას კისრულობენ განახორციელონ მთელი კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების მექანიზაცია სუბტროპიკული დარგის ახლად შექმნილი საბჭოთა მეურნეობების ფართობებზე.

„საქსოფლტექნიკის“ ზუგდიდის, ოჩამჩირის, მახარაძისა და სხვა განყოფილებათა კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ, რომ მაქსიმალურად დანერგავენ ჩაის მოვლა-მოყვანისა და კრეფის კომპლექსურ მექანიზაციას, ჩაის საკრეფი მანქანების „საქართველოს“ და სხვა ტექნიკის რთულ რემონტს მთლიანად სპეციალიზებულ სახელოსნოებში განახორციელებენ.

კარგად გვესმის, რომ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლებაზე, ამიტომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილება სამონტაჟო სამუშაოებზე.

ვალდებულებას ვკისრულობთ, ხუთწლედის დარჩენილ სამ წელიწადში შევასრულოთ 3.300 ათასი მანეთის სამონტაჟო სამუშაოები, მოვაწყოთ 80 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ავტოსარწყულელები, უზრუნველვყოთ 34.500 სული პირუტყვისათვის საკვების დარიგებისა და 3.900 ძროხის წველის მექანიზაცია. განვახორციელოთ 110 ფერმის კომპლექსური მექანიზაცია და ტექნიკური მომსახურება გავუწიოთ 500 ფერმას.

ტრაქტორებით, კომბაინებით, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგება ისე წარვმართოთ, რომ 1968-1970 წლებში მთლიანად დავაკმაყოფილოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილება.

უზრუნველვყოთ ხუთწლედის დამლევისათვის რესპუბლიკის ყველა მეურნეობა ცენტრალიზებული წესით მომსახურებით. დროულად და მოთხოვნების თანახმად მივიტანოთ ადგილებზე ტრაქტორების, ავტომანქანების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე მინერალური სასუქები, შხამქიმიკატები, სამშენებლო და ელექტრომასალები, რეზინის ნაწარმი, სხვა საქონელი.

საექსპლოატაციოდ გადავცეთ 25 ათასი ტონა საერთო ტევადობის მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების საწყობები. 20 საწყობში მოვაწყოთ დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა მთლიანი მექანიზაცია. ავაშენოთ 35 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის სათადარიგო ნაწილების საწყობები და 25 ათასი კვადრატული მეტრი ღია მოედნები ტექნიკის შესანახად.

მექანიზაციის პროგრესი წარმოუდგენელია წარმოებაში ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დაუნერგავად. ამიტომ გადავწყვიტეთ ფართოდ გავშალოთ მოძრაობა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში მანქანების კომპლექსის დანერგვისათვის იმ ვარაუდით, რომ მექანიზაციის დონე სულ ცოტა 15-20 პროცენტით ავამაღლოთ.

უფრო მეტად გამოვაცოცხლოთ რაციონალიზატორობა და გამომგონებლობა, რათა ხუთწლედის დამლევისათვის თითოეულ 100 მომუშავეზე მოდიოდეს სულ ცოტა 6 რაციონალიზატორი. ვკისრულობთ ვალდებულებას დავნერგოთ 600-მდე წინადადება და სახელმწიფოს დაეზოგოთ დაახლოებით 200 ათასი მანეთი. გავზარდოთ და გავაუმჯობესოთ ბროშურა — რეკომენდაციების, ბროშურების, პროექტებისა და სხვა საინფორმაციო-სარეკლამო მასალების გამოშვება.

კიდევ უფრო განვამტკიცებთ მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით „საქსოფლტექნიკის“ სისტემის ყველა რგოლს. გავაფართოებთ მექანიზატორთა კადრების მომზადებასა და გადამზადებას, სავსებით უზრუნველვყოფთ ქარხნებსა და სახელოსნოებს მუშა-ხელით, ხოლო ტრაქტორებს — მემანქანეებით ორცვლიანი მუშაობისათვის.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს „საქსოფლტექნიკის“ სინდაღის, ფიროსმანის, გურჯაანის, გორის, მახარაძის, ზუგდიდისა და სხვა რაიონების განყოფილებებმა, აგრეთვე „აფხაზსოფლტექნიკის“, „აბაანსოფლტექნიკის“ და სამხრეთ ოსეთის „სოფლტექნიკის“ განყოფილებებმა.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიონ აზერბაიჯანის ბაქრთინანების „სოფლტექნიკის“ სისტემის მექანიზატორები.

ვკისრულობთ რა ახალ ვალდებულებებს, ჩვენ, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ აქტივის კრების მონაწილენი, რესპუბლიკის ყველა მექანიზატორის სახელით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღვუთქვამთ, რომ მთელ ძალ-ღონესა და უნარს მოვახმართ ამ ვალდებულებათა შესრულებას, ღირსეულ წვლილს შევიტანთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

ამხანაგო მექანიზატორებო, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებო! ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, პირნათლად შევასრულოთ პირობა!

მიღებულია „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური აქტივის კრებაზე







ზოოტექნიკოსი

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ კარგა ხანია გაითქვა სახელი, როგორც მოწინავე საზოგადოებრივ მეურნეობამ, რომელიც არაერთი ინიციატივისა და სიახლის წამომწყებია. კოლმეურნეობა საიუბილეო წელს უხვი მოსავლის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დიდი რაოდენობით დამზადებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორი იყო. ჯაფარიძელებმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც წარმატებას მიაღწიეს და დიდი გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საიუბილეო წლის გეგმები.

ჯაფარიძის კოლმეურნეობაში წამყვანია მეცხოველეობა. გასულ წელს აქ ნაცვლად 3.393 ცენტნერისა აწარმოეს 4.000 ცენტნერი ხორცი, 12.488 ცენტნერის ნაცვლად — 12.710 ცენტნერი რძე, 455.000 ცალის ნაცვლად — 630.000 ცალი კვერცხი. დიდი გადატანები შესრულდა აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმებიც.

მეცხოველეობა რომ წამყვანი დარგია, ეს ჩანს შემოსავლიდანაც. გასულ წელს კოლმეურნეობამ სულ მილიონ 400 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო. აქედან 700.000 მანეთი მარტო მეცხოველეობიდან მიიღეს.

ჯაფარიძელებს შესანიშნავი ფერმები აქვთ. მათ ჰყავთ 7.700 სული ცხვარი, 2.271 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 2.207 ღორი, 11.500 ფრთა ფრინველი და სხვ. როგორც ვხედავთ, კოლმეურნეობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეცხოველეობის დიდი ფაბრიკაა. ხოლო რაც შეეხება წარმოების დონესა და კულტურას, შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ აქ დიდი რაოდენობით იაფ პროდუქტებს აწარმოებენ და მათი ფერმები შესანიშნავად არის მოწყობილი. გარდა ამისა, რომ აქ სამუშაოთა დიდი ნაწილი მექანიზებულია, ფერმის მუშაკთათვის სანიმუშო პირობებია შექმნილი. სოფელთან ახლოს, ენამთის ფერდობზე გაშენებულია მეცხოველეობის შესანიშნავი დაბა. ფერმებში მეცხოველეები ისე გრძნობენ თავს, როგორც შინ. კარგი საცხოვრებელი ბინები, რადიო, ტელევიზორი, ჟურნალ-გაზეთები... აი ყოველივე ის, რითაც აქ მეცხოველეებს შეუძლიათ იცხოვრონ ნორმალურად, კულტურულად.

რა თქმა უნდა, ეს თავისთავად როდი მოსულა. იგი ნაყოფია კოლმეურნეობის გამგეობის უნარიანი შრომისა, რომელსაც ხანგრძლივი დროის მანძილზე შესანიშნავად უძღვება კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნიკო ყოჩიაშვილი.

რა თქმა უნდა, მარტო თავმჯდომარე ვერაფერს გააწყობდა, მას თავის გარშემო რომ არ შემოეკრიბა საქმის მოყვარული, მცოდნე და უნარიანი სპეციალისტები.

ყოველივე ამაზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ნათელი წარმოდგენა გვქონდეს იმაზე, თუ რა რთული უბანი აბარია ზოოტექნიკოსს.

ჯაფარიძის კოლმეურნეობის ფერმების კარგი ორგანიზატორის, მცოდნე სპეციალისტის გიორგი ყოჩიაშვილის შრომა და საქმიანობა, მისი როლი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში აუცილებლად მისაბაძია.

თავიდანვე უნდა ვთქვათ, წარმატებას ზოოტექნიკოსი ძირითადად იმით აღწევს, რომ იგი ზომიერად აფასებს თავის როლს წარმოებაში და უყვარს ზოოტექნიკოსის პროფესია, ამიტომ არის, რომ გ. ყოჩიაშვილი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილ საქმეს. პროფესიისადმი სიყვარული ამოძრავებს მას, როცა დარსა თუ ავდარში თავდაუზოგავად, მუხლჩაუხრელად შრომობს საერთო საქმისათვის.

ზოოტექნიკოსი სოფლად მეცნიერების წარმომადგენელია. ნამდვილი ზოოტექნიკოსი ის არის, ვინც რეგულარულად სწავლობს მეცნიერების მიღწევებს, მოწინავეთა გამოცდილებას, იყენებს მას თავის მუშაობაში და სხვებსაც ასწავლის. ჯაფარიძელთა ზოოტექნიკოსიც სწორედ ასეთია, უყვარს შესრულებისათვის.

ხაკავშირო და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში მეცნიერების სიახლეთა კითხვა და შესწავლა, მოწინავეთა გამოცდილების გაცნობა და შემდეგ წარმოებაში დანერგვა. ჯაფარიძელთა მეძროხეობის ფერმაში ფართოდ დაინერგა რძის ცხიმიანობის გადიდების გამოცდილება, რომელსაც მოსკოვის ოლქის საზოგადოებრივ მეურნეობებში კარგა ხანია იყენებენ. ახლა ჯაფარიძის მეძროხეობის ფერმაში წარმოებული რძის ცხიმიანობა 4 პროცენტს აღემატება. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველებმა ჯაფარიძელებმა დანერგეს წარმოებაში ღორის გაზუქების პროგრესული მეთოდები და დიდ წარმატებასაც აღწევენ.

ჯაფარიძის კოლმეურნეობას ახლო მეგობრობა აკავშირებს ხომხეთის სსრ ერევნის შაუმიანის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობასთან. შაუმიანელებმა მთგან ბევრი რამ გადაიღეს, სამაგიეროდ ჯაფარიძელებმაც დანერგეს წარმოებაში ძროხების მოვლა-პატრონობის მათი მეთოდები. ისინი ყოველწლიურად ხვდებიან ერთმანეთს.

გასული წლის შემოდგომაზე ჯაფარიძელებთან სტუმრად იყვნენ ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები. ბილოვეცის მშრომელთა დელეგაცია იყო ჯაფარიძეში. მათ მოეწონათ ქართველი მეგობრების შრომის ორგანიზაცია, განსაკუთრებით კი მეცხოველეობის ფერმები. შემდეგ საპასუხო ვიზიტით ჩეხოსლოვაკიაში იყო ჯაფარიძელთა დელეგაცია. მათ შორის იყო კოლმეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი გ. ყოჩიაშვილი. ისინი ჩეხოსლოვაკიაში ბევრ სიახლეს გაეცნენ და ახლა წარმოებაში ნერგავენ მათს გამოცდილებას. ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მთავარი ის არის, რომ მოწინავე მეცხოველეთა მდიდარი გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვას უნარიანად ხელმძღვანელობს მთავარი ზოოტექნიკოსი.

ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებში დიდი ყურადღება ექცევა სამუშაოთა მექანიზაციასა და პროდუქტების გაიაფებას. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმებში პირუტყვის საკვების შემზადება, კვება, დარწყულება, წველა, ბინების დასუფთავება მექანიზებულია. ამას წინათ კი აქ დამონტაჟდა დიდი წარმადობის სეპარატორები, რამაც დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

ფერმებში წარმატებით იბრძვიან პროდუქციის გაიაფებისათვის. გასულ წელს გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით ძროხის ხორცის წარმოება 23 მანეთით გაიაფდა, ღორის ხორცისა — 14 მანეთით, რძისა — 8 მანეთით. ამ საქმეში მეცხოველეებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის მთავარ ზოოტექნიკოსს.

ახალი ხუთწლედის მესამე წელი წარმატებით დაიწყო. მეცხოველეებს წინ აქვთ ზამთრის ნახევარი. ზამთარი კი, როგორც ვიცით, მეცხოველეთათვის ყველაზე პასუხსაგები პერიოდია. ფერმების მუშაკებს მძიმე გამოცდა ელით. ახლა მთავარია პირუტყვს არ მოვაკლოთ მოვლა-პატრონობა, შევინარჩუნოთ წველადობის აღებული ტემპი, აგრეთვე ვიზრუნოთ მიღებული ნამატის შენარჩუნებისათვის.

მეცხვარეებსაც მძიმე სამუშაო აქვთ შესასრულებელი. ცხვრის გამოზამთრება და დოლისათვის მზადება ახლა მათი მთავარი საზრუნავია.

ყველა ამ საქმეში დიდი მოვალეობა აკისრია მთავარ ზოოტექნიკოსს. ზამთრის პერიოდში პირუტყვის კვების რაციონი ისე უნდა შედგეს, რომ ძროხების წველადობამ არ დაიკლოს. მთავარი ზოოტექნიკოსი ვეტსპეციალისტებთან და ყველა მეცხოველესთან ერთად ყოველდღიურად უნდა ზრუნავდეს ნამატის 100 პროცენტით შენარჩუნებისათვის.

ზამთრის დღეებში შრომა ისე უნდა მოეწყოს, რომ საკმაო დრო დარჩეს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების შესასწავლად. ამ საქმით პირველ რიგში საზოგადოებრივ მეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები უნდა დაინტერესდნენ.

ჯაფარიძელ მეცხოველეთა გამოცდილების განზოგადებას ჯეროვან ყურადღებას აქცევენ პარტიის წითელწყაროს რაიკომი და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველო. ამიტომ არის, რომ რაიონის მეცხოველეებმა წარმატებით დაამთავრეს საიუბილეო წელი და ახლა თავდადებით შრომობენ ახალი ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

მწუოგრეი ჩადგა ახალი მილის დგანი

რუსთავი, 23 იანვარი. (საქდესის კორ.). რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსადიდგ საამქროში ამუშავდა მილების ცეცხი გლინვის ახალი დგანი „90“. ეს არის ცივგაგლინული, თხელკედლა ფოლადის უნაკერო მილების წარმოების თანამედროვე აგრეგატი. ამ დგანის პროდუქციას ფართოდ გამოიყენებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობის ქარხნებში, გემთსაშენებში.

ქარხანაში სხვა მოქმედ აგრეგატებთან შედარებით ახალი დგახის კონსტრუქცია ტექნიკურად უფრო დაიხვეწა. ეს დადგმულია ავტომატური მართვის სპეციალური ხერხის მექანიზმი. ამ მექანიზმის საშუალებით მილების შემოჭრა წარმოებს დგანის შეუჩერებლად, მუშაობის დროს.

დგანის მშენებლობასა და მონტაჟზე თავი გამოიჩინეს რუსთავის „მეტალურგმშენის“, „საქელექტრომონტაჟის“, „საქმექანმონტაჟის“ სამმართველოებმა, მძიმე მანქანათმშენებლობის „ელექტროფოლადის“ ქარხნის გამწყობმა ბრიგადამ და სხვებმა.

ახალმა დგანმა უკვე გამოუშვა პირველი პროდუქცია.

გათუმური ვიკალინი

ბათუმი. (საკ. კორ.). კოფეინის ქარხნის კოლექტივმა აქაურ საწარმოთა შორის ერთ-ერთმა პირველმა უპატაჟა სამშობლოს საიუბილეო წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულება. პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ქარხანამ 16 დღით ადრე შეასრულა.

ახალი წლის წინა დღეებში ქარხანაში აითვისეს ვიკალინის სერიული წარმოება. ეს უკვე რიგით მეთვრამეტე სამედიცინო პრეპარატია, რომელიც ახლა საწარმოში მზადდება.

ბათუმური ვიკალინის პირველი ბარტია უკვე მიიღო მომხმარებელმა.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰ. ვილსონი

23 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ ვილსონი და ესაუბრა მას.

გაიმართა აზრთა გულახდილი გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ აქტუალურ პრობლემაზე, აგრეთვე სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობის საკითხებზე. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ინგლისის მოლაპარაკება

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ ვილსონი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, 22 იანვარს კრემლში ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

შემდეგ კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ინგლისის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა გაზიარება ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო საკითხზე. (საკდესი).

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად

23 იანვარს საბჭოთა მთავრობამ დარბაზობათა სახლში საუზმე გაუმართა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ჰაროლდ ვილსონს.

ინგლისის მხრივ იყვნენ აგრეთვე კაბინეტის მდივანი სერ ბერკ ტრენდი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერ ჯეფრი ჰარისონი და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ა. ნ. კოსიგინის ინდოეთში ვიზიტის გამო

ინდოეთის მთავრობის ადრე გაგზავნილი მიწვევის შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი მიმდინარე წლის იანვრის დამლევს ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრება ინდოეთში.

ინდოეთში ვიზიტის დროს ამხ. ა. ნ. კოსიგინი მონაწილეობას მიიღებს ინდოეთის ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის დღის გამო გამართულ ზეიმში.

სისხლიანი ქვირის მსხვერპლთა ხსოვნისათვის

ლენინგრადი, 22 იანვარი. (საკდესი). დღეს პრეობრაჟენსკის სასაფლაოზე გაიმართა 1905 წლის 9 (22) იანვრის მსხვერპლთა ძეგლის გვირგვინებით შემკობის სამგლოვიარო ცერემონია.

ასობით ლენინგრადელი — პარტიის ვეტერანები, რუსეთის რევოლუციათა მონაწილენი, მუშები, ახალგაზრდობა, პიონერები და მოსწავლეები მოვიდნენ აქ, რომ პატივი ეცათ თავიანთი პაპებისა და მამებისათვის, რომლებმაც 63 წლის წინათ სისხლი დაღვარეს ნათელი მომავლისათვის.

...გაისმის სამგლოვიარო მელოდია. ძეგლის კვარცხლბეკს ამკობენ გვირგვინებით.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საგრძოლო თანამეგობრობის აღსანიშნავად

მოგილიოვის ოლქის სოფელ ლენინო ისტორიაში ამით არის ცნობილი, რომ აქ ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საბრძოლო თანამეგობრობას საერთო მტრის გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. აქ სოფელთან, რომელიც დიდი ბელადის სახელს ატარებს, 1943 წლის ოქტომბერში პოლონეთის სახალხო ჯარების რეგულარული შენაერთებით ჩაებნენ პირველ ბრძოლაში. ესენი იყვნენ პოლონეთის ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პირველი ქვეითი დივიზიის ჯარისკაცები, რომლებიც იბრძოდნენ საბჭოთა მეომრების მხარდამხარ.

ამ მოვლენის აღსანიშნავად სოფელ ლენინოში გადაწყვეტილია ამენდეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საბრძოლო თანამეგობრობის ძეგლები და მუზეუმი. (საკდესი).







მოძმადგეული შევსვდეთ საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებას!

სიუხვის შესაქმნელად

სამტრედიის რაიონის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მუშები ყველა ღონისძიებას ახორციელებენ, რათა მეუფფრსებლად ჩაატარონ საგაზაფხულო ხვნა-თესვა. ეს ძირითადად ეხება კოხდიციური თესლის მომზადებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთებას.

რაიონის მშრომელთა შირობაა საგაზაფხულო კულტურების დასათესად მოამზადონ 2.420 ცხტნერი თესლი, აქედან მარტო სიმინდის — 2.307 ცენტნერი. სამტრედიელები ზამთრის დღეებს კარგად იყენებენ და საგაზაფხულო კულტურების დასათესად თესლის მოშზადების დაგალება უკვე 131,9 პროცენტით გაანაღდეს.

ახლა სარემონტო სახელოსნოებში მეჭედლები, ხარატები, ზეინკლები ბეჯითად შრომობენ და სწრაფად უკეთებენ რემონტს ტრაქტორებს, გუთნებს, კულტივატორებს, სათეს მანქანებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. მექანიზატორთა პირობაა აღნიშნული სამუშაო დაამთავრონ 10 მარტისათვის.

წყალტუბოს რაიონის მექანიზატორები, რომლებმაც საგარეჯოს რაიონის მექანიზატორთა მაგალითისამებრ ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და გასული წლის ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმა 108,3 პროცენტით შეასრულეს, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გამოასწორონ იანვრის პირველ დეკადაში აღებული ნელი ტემპი და ხუთწლედის მესამე წლის საგაზაფხულო თესვას ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ. სარემონტო სახელოსნოებში რემონტს უკეთებენ სათეს მანქანებს, ტრაქტორებს, კულტივატორებს.

მხვნელ-მთესველები საგაზაფხულო კულტურების დასათესად იძარაგებენ თესლს. წყალტუბოელ მშრომელთა პირობა იყო 15 მარტამდე მოიმარაგონ 3.857 ცენტნერი თესლი. შრომის სწორად მოწყობის შედეგად ეს დავალება უკვე 131,8 პროცენტით შეასრ

წარმოება — მთავარი საზრუნავი

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები ინტერესით ათვალიერებდნენ ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში მოწყობილ გამოფენას. აქ წარმოდგენილი იყო ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მიერ უკანასკნელ ორ წელში ათვისებული და გამოშვებული სხვადასხვა სახის პროდუქციის ნიმუშები.

ახლა ქალაქის მრეწველობა 800-ზე მეტი სახის პროდუქციას უშვებს. ქუთაისური მარკის ნაწარმი ცნობილია ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც.

— რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის, ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებისათვის, შრომისა და წარმოების უკეთესი ორგანიზაციისათვის?

ძირითადად ამაზე, პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გამართეს დიდი სკკ-ბაასი კონფერენციის მონაწილეებმა.

მომხსენებელმა — პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ს. სიხარულიძემ და სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა ღრმა, საქმიანი ანალიზი გაუკეთეს საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას და მიღწეული შედეგები, ჯერ კიდევ გადაუჭრელი ამოცანები განიხილეს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ერთობის, წარმოების განვითარებისათვის კომუნისტთა მაღალი პასუხისმგებლობის ფონზე.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ქალაქის მრეწველობამ ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებულ ვადაზე ხუთი დღით ადრე — 20 დეკემბრისათვის შეასრულა საიუბილეო წლის დავალება და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა დიდძალი პროდუქცია.

საიუბილეო შეჯიბრებაში შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს სატრაქტორო, მინის ტარის, რძის, ლუდის ქარხნების, მაუდის, ავეჯის, ბამბეულის საქსოვი, ტრიოტაჟის, № 4 და № 8 სამკერვალო ფაბრიკების, აბრეშუმისა და ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივებმა.

ქალაქის საწარმოებმა აითვისეს და დაიწყეს სახალხო მეურნეობისათვის დიდმნიშვნელოვანი ბევრი ახალი სახის პროდუქციის, მათ შორის „ კაზ-608“ მარკის ავტოსაწევრის, ელექტრომტვირთავის, ელექტროცენტრიდანული ტუმბოების, საშახტე ნათურების გამოშვება. ბოლო ორ წელიწადში ქალაქის საწარმოებში მოეწყო 40 ნაკადური, ავტომატური და კონვეიერული ხაზი, ახლად დაიდგა მაღალი წარმადობის 1.986 ჩარხ-დანადგარი.

ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებაში დიდი წვლილი შეაქვთ რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. საანგარიშო პერიოდში ნოვატორთა წინადადებების დანერგვის გზით მიღებულია 2 მილიონ 756 ათასი მანეთი ეკონომია.

ეს წარმატებები, როგორც სამართლიანად ითქვა კონფერენციაზე, თავისთავად არ მოსულა. ისინი მიღწეულია ქალაქის სახელოვანი მუშათა კლასის თავდადებული შრომით, იმით, რომ შემდგომ ამაღლდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი წარმოებისადმი ხელმძღვანელობაში.

წარმატებები არის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთი საწარმო ფუშავს სახელმწიფო დავალებათა შესრულებას. სამწუხაროდ, ჩამორჩენილთა შორის არის ჩვენი ინდუსტრიის სიამაყე — საავტომობილო ქარხანა.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ქარხანას საკმაო რეზერვები აქვს იმისათვის, რომ დავალებას ასრულებდეს. მაგრამ ეს რეზერვები გონივრულად არ არის გამოყენებული. დაბალია შრომიდა და საწარმოო დისციპლინა, ადგილი აქვს იერიშობანას, დიდია მუშათა დენადობა. ქარხნის ხელმძღვანელები ჯეროვნად არ მუშაობენ ადამიანებთან, მზრუნველ დამოკიდებულებას არ იჩენენ მათი საყოფაცხოვრებო პირობებისადმი.

საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. ჭობონელიძემ გაიზიარა ქარხნის ადმინისტრაციისა და პარტიული ხელმძღვანელობის მიმართ გამოთქმული კრიტიკა, ამასთან მიუთითა, რომ ქარხნის გამართულ მუშაობას ხელს უშლის საწნეხ-საძარე კორპუსის მშენებლობის გაჭიანურება. როგორც მან თქვა, ავტომშენებლებმა კარგი სტარტი აიღეს ახალ სამეურნეო წელს და ალებული ტემპები მოწმობს, რომ ქარხანა კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩადგება.

წარმოებისათვის ზრუნვით იყო გამსჭვალული ნოვატორი ავტომშენებლის, სოციალისტური შრომის გმირის ი. ხაზარაძის გამოსვლა. მან კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრო რაციონალიზატორთა საქარხნო ბრიგადის სისხლსავსე. ცხოვრებაზე, ამასთან გულისტკივილით ილაპარაკა წარმოების დაბალ კულტურაზე. ორატორმა წამოაყენა წინადადება ავტომშენებელთა დაბაში ახალი სასკოლო შენობების აგებისა და ბაგა-ბაღის გაფართოების შესახებ.

კონფერენციაზე იმის მკაფიო მაგალითიც მოიყვანეს, თუ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებამ, კომუნისტთა აქტივობის ამაღლებამ რაოდენ კეთილსასურველი გავლენა მოახდინა წლოვნით ჩამორჩენილი ლითოფონის ქარხნის დაწინაურებაზე.

ამ ქარხნის პარტბიუროს მდივანმა დ. სვანაძემ თქვა, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ ღრმად შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები და მათი დაძლევის გზები, თანმიმდევრული ზომები მიიღო სრულ გაცვეთამდე მისული აპარატ-დანადგარების კაპიტალურად შეკეთებისათვის, ახალი საწარმოო სიმძლავრეების დროულად ამოქმედებისათვის, უხარისხო ნედლეულის შემოზიდვის აღკვეთისათვის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის. უფრო სისხლსავსე გახდა შინაპარტიული მუშაობა.

აბრეშუმის კომბინატის დირექტორმა ო. ბალანჩივაძემ და ელექტრომექანიკური ქარხნის მუშამ ვ. ლიპოვცევმა კონფერენციას მოუთხრეს თავიანთი კოლექტივების შრომითს საქმიანობაზე.

პროდუქციის ხარისხი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა. სწორედ ამიტომ ამ საკითხმა საპატიო ადგილი დაიკავა კონფერენციის მუშაობაში. აღინიშნა, რომ საწარმოებში ნაოფიერ მუშაობას ეწევიან პროდუქციის ხარისხისადმი პარტიული კონტროლის კომისიები, ხარისხის საგუშაგოები, სულ უფრო ფართოდ ინერგება პირველი წარდგენისთანავე ნაწარმის უდეფექტოდ ჩაბარება. ხარისხის მხრივ დამსახურებული სახელი მოიხვეჭეს სატრაქტორო, ლითოფონის, რეზინის ტექნიკური ნაწარმისა და ლუდის ქარხნების, ავეჯის ფაბრიკის კოლექტივებმა.

მაგრამ ამ მხრივ ბევრს ვერაფერს დაიკვეხნიან ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში, საავტომობილო ქარხანაში, ტრიკოტაჟის ფაბრიკაში.

ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციებმა გადამეტებით შეასრულეს კაპიტალურ დაბანდებათა სახელმწიფო გეგმები. აშენდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა პური ახალი ქარხანა, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მეორე რიგი, ლითოფონის ქარხნის ახალი საწარმოო სიმძლავრეები.

როგორც № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის მმართველმა ო. ბიბილეიშვილმა აღნიშნა, სამშენებლო ობიექტებზე სულ უფრო ფართოდ ინერგება ინდუსტრიული მეთოდები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მშენებლები ვალში რჩებიან. მათ შარშან 72 ობიექტიდან გეგმა ვერ შეასრულეს 22 ობიექტზე, მათ შორის ისეთ დიდ ობიექტზე. როგორიც არის აბრეშუმის კომბინატის სამღებრო-საგამომყვანო კორპუსი, წისქვილკომბინატი, რკინაბეტონის ქარხანა და სხვა მშენებარე საწარმოები.

კონფერენციის მონაწილეებმა საქმიანად იმსჯელეს წარმოების მართვის ახალი სისტემის, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების საკითხებზე, მოიყვანეს ეკონომიურ რეფორმაზე გადასულ სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, რაც ცხადყოფს ახალი მეთოდით მუშაობის კეთილმყოფელ შედეგებს. მაგალითად, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ თვითეული მუშაკის შრომის ნაყოფიერება 47 პროცენტით ამაღლდა, ხოლო ერთი მანეთის ძირითად საწარმოო ფონდზე გამოშვებული პროდუქციის მოცულობა — 8,1 პროცენტით.

კონფერენციამ უურადღება გაამახვილა მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების, მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილების საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში ქუთაისის მშრომელებმა მიიღეს 47 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, აშენდა ორი საშუალო სკოლა, ამდენივე სბავშვო ბაღი, ვაჟრობისა და საზოგადოებრივი კვების 27 ობიექტი, ხიდები...

ყოველივე ამის მიუხედავად, როგორც კონფერენციაზე ითქვა, მშრომელთა კომუნალურ, საკაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურებაში არსებითი ხარვეზებია.

ქალაქის მშრომელები კანონიერ უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ალკვეთილი არ არის ფასების დამახინჯების, მომმპრაველთა ზომა-ზონაში და ანგარიშში მოტყუების სამარცხვინო ფაქტები. ყოველივე ამას კი რატომღაც ურიგდებიან ქუთაისის ვაჭრობის სამმართველო და მისი უფროსი ა. ქიკანიშვილი.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ კ. კილაძემ აღნიშნა, რომ კომიტეტის წარდგენებით საანგარიშო პერიოდში ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების ასობით მუშაკს დაედო სახჯელი. ამას ემატება თვით სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთაგან დადებული ადმინისტრაციული სახჯელები. ზოგიერთ მუშაკს მრავალი სახჯელიც კი დაადეს, მაგრამ ასეთებს არც თავიდან იცილებენ და არც იმისათვის ზრუნავენ, რომ კადრების აღზრდის, დარწმუნების ყველა მეთოდი გამოიყენონ.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების, კანონიერების დაცვისათვის.

და მაინც აღმოფხვრილი არ არის სახელმწიფო ქონების ხელყოფის სამარცხვინო ფაქტები. დიდი სახელმწიფო სახსრები დაიტაცეს ხის დამუშავებელ კომბინატში, უსინათლოთა საზოგადოების საწარმოო წამოწყებაში, მეორადი ნედლეულის გადამმუშავებელ ფაბრიკაში. კრიტიკას ვერ გაეძღვნენ მილიციის, სასამართლო-პროკურატურის, ავტო-ინსპექციის მუშაკები. ისიც ითქვა, რომ ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთმა მუშაკებმა, როგორც, მაგალითად, მ. ჭელიძემ და ტ. კვერნაძემ, თვითონ ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ქალაქის კეთილშენობიერების საკითხებს მოუძღვნეს თავიანთი გამოსვლები ქალაქის პროკურორმა ა. ულენტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ მ. მამფორიამ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა— მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანმა დ. კვიცარიძემ, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორმა გ. მეფისაშვილმა, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. იმედაძემ და პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა კ. მეძველიამ ილაპარაკეს კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდის, მასებში იდეოლოგიური მუშაობის, ახალგაზრდობის შრომისა და სწავლის საკითხებზე.

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული ღონისძიებები განახორციელეს იდეოლოგიური მუშაობის დონისა და ქმედითობის ამაღლებისათვის. მიმდინარე სასწავლო წელს პარტიული განათლების ყველა რგოლში იდეურ დონეს იმაღლებს 11 ათასი კაცი, ხოლო კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემაში — 6.300 ახალგაზრდა. პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა მოხსენებებისა და რეფერატების მომზადება, თეორიული კონფერენციები, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები. რეგულარულად ეწყობა პროპაგანდისტთა სემინარები, მეთოდური კონფერენციები.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, პოლიტინფორმატორთა ინსტიტუტის შემოღებამ თვისებრივად აამაღლა პარტიული ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე, მისი შინაარსი. პოლიტიკური აგიტაციის ახლებურად მოწყობას მიეძღვნა პოლიტინფორმატორთა საქალაქო შეკრება, პოლიტინფორმატორთა მოსამზადებელი კურსების შექმნა.

უველაფერს, რაც კონფერენციაზე აღინიშნა — წარმატებებსაც და ნაკლსაც — დელეგატებმა პრინციპული შეფასება მისცეს და კონკრეტული ღონისძიებები დასახეს იმისათვის, რომ პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ქუთაისის მშრომელთა აქტივობას ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრი ვალდებულებათა სასახელოდ განაღდებისათვის.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ფრუნიძე.

გაიმართა პარტიის ახალარჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ო. ბოჭორიძე, მეორე მდივნად — ს. სიხარულიძე, მდივნად — თ. ვარდანაშვილი.

შ. ჯავახიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲐᲮᲐᲚ, 1968 წელს ახალი ძალით ამუშავდა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის გამამდიდრებელი ფაბრიკის აგრეგატები.

კარგ შედეგებს აღწევს ახალი ითხვისის მაღარეთსამმართველოს კოლექტივი. გამამდიდრებელ ფაბრიკაში გადატვირთულია ახალი წლის მარგანეცის მადნის პირველი ტონები. კარგი შრომითი მაჩვენებლებით დაიწყო ხუთწლედის მესამე წელი ცვლამ, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი სულიკო კაპანაძე ხელმძღვანელობს. ცვლის კოლექტივმა მხარი დაუჭირა მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა წამოწყებას და გადაწყვიტა ვადამდე შეასრულოს ხუთწლედის დავალება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲖᲔ: მოწინავე ცვლის უფროსი სულიკო კაპანაძე.
ფოტო ა. მაჭავარიანისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

საგარეჯოელ ინიციატორებთან

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘᲐ. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კანტორებში ბევრი მომსვლელია. ანგარიშწარმოების მუშაკები თავაუდებლად მუშაობენ. საგარეჯოს მერძევეობა-მბოსტნეოების საბჭოთა მეურნეობის კანტორაში შევხვდით დირექტორს ო. ჩალაბაშვილს და მთავარ ბუხალტერს ბ. თულაშვილს, მეურნეობის დირექტორმა გვითხრა:

რესპუბლიკაში საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მრავალდარგოვანი და დიდი მეურნეობაა. მის განკარგულებაშია 16 ათასი ჰექტარი. აქედან 6 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე ითესება ხორბალი, სიმინდი, ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. საიუბილეო წელს რაიონის მშრომელებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. მათ შორის საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობამ პირობა დადო რაიონში არსებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის ყველაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მიიღოს. ეს-აი არის ვამთავრებთ მეურნეობის მიერ გაწეული შრომის შედეგების დაზუსტებას...

დაგვიანტერესა მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის მეურნეობაში გაწეულმა მუშაობამ.

ბუხალტერიის ჩანაწერებში ციფრ 8.030-ზე შევჩერდით.

— ეს მეცხოველეთა ნამოღვაწარია, — თქვა პარტორგანიზაციის მდივანმა დ. კეკლიშვილმა. მეურნეობას გეგმით უნდა ეწარმოებინა 7.474 ცენტნერი რძე. ვალდებულებით — 7.500 ცენტნერი. ფაქტიურად ვალდებულების გადამეტებით მიღებულია 530 ცენტნერი რძე.

მარტო მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვე როდია საკმარისი. მთავარია მიღებული პროდუქციის გაიაფება. მეურნეობაში ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. 1966 წელს ცენტნერი რძე 19 მანეთი დაუჯდათ, საიუბილეო წელს ცენტნერი რძის წარმოებაზე მხოლოდ 17 მანეთი დაიხარჯა. ასევე საგრძნობლად გაადიდეს ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება, ხოლო მიღებული პროდუქტების თვითღირებულება შეამცირეს.

საიუბილეო წელი რომ იწყებოდა, მეურნეობის მუშებმა იკისრეს მოეყვანათ 3.152 ტონა მარცვლეული და აქედან სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 900 ტონა. აქაც ნაკისრი ვალდებულება სასახელოდ გაანაღდეს. აწარმოეს 3.328 ტონა მაღალსარისხოვანი მარცვლეული და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიაყიდეს 463 ტონა.

მეურნეობას თავისი არსებობის მანძილზე ერთხელაც არ შეუსრულებია ბოსტნეულის მოსავლიანობისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება. საიუბილეო წელს კი ბეჯითმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. სახელმწიფოს მიეყიდა 601 ტონა ბოსტნეული, რაც სჭარბობს გეგმასა და ვალდებულებას. ერთი სიტყვით, საიუბილეო წელს მეურნეობაში ყველა დარგი რენტაბელური გახდა.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში თავი ისახელა ყანდაურის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ. არც ერთი ჩამორჩენილი დარგი — აი რა მიზანი დავისახეთ ყანდაურელებმა საიუბილეო წელს, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ასპაგაზაშვილი. ამ ამოცანის განსახორციელებლად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სავარგულებს, რადგან დარწმუნდნენ, რომ კოლმეურნეობის გაძღოლაში მთავარია მიწის გონივრულად გამოყენება, შრომის მაღალი კულტურის დანერგვა, აგროწესების ზუსტად განხორციელება.

ყანდაურელ მხვნელ-მთესველებს ბევრი რამ აქვთ საამაყო. მათ დიდი გადაჭრიბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების, მარცვლეულის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. ამასთან ერთად წინა წელთან შედარებით ერთიორად შეამცირეს მიღებული პროდუქტების თვითღირებულება.

კოლმეურნეობაში ვაზი პატივისცემით სარგებლობს. ყანდაურელები ვაზს საგულდაგულოდ უვლიან და ყოველ წელს ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. კოლმეურნეებმა საიუბილეო წელს სარწყავი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღეს 78 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 45 ცენტნერისა.

სიტყვა საქმედ აქციეს შიბლიანის (თავმჯდომარე დ. ჩოკოშვილი), კაკაბეთის XXI პარტყრილობის სახელობის (თავმჯდომარე ვ. ხუნაშვილი), პატარა ჩაილურის (თავმჯდომარე ბ. ზირაკიშვილი) და სხვა სოფლებისა და საბჭოთა მეურნეობების კანტორებში. ბევრ ადგილას ბოსტნეულის მოსავლიანობის ზრდა — ნაკისრი ვალდებულება ჭალიანურ დარჩა — 186 ცენტნერი მარცვლეული. საუბარი ქიმიაზეც ძლივს ვიმეორებ. ცენტნერი მარცვლის მოყვანას. ასევე სანახევროდაც ვერ შეასრულეს შვრიის, მზესუმზირას

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ — ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲑᲘᲖᲓᲘᲜᲐᲠᲔ წელს ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანას არსებობის ათი წელი უსრულდება. ქარხნის ისტორიაში განსაკუთრებით ძნიშვნელოვანი იყო საიუბილეო — 1967 წელი. იგი ჩვენმა კოლექტივმა აღნიშნა სახელოვანი საქმეებით I და II კვარტალში საკავშირო ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს მასშტაბით გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვედით და ფულადი პრემია დავიმსახურეთ.

ჯერ კიდევ 1966 წლის სექტემბერში ქარხნის კოლექტივმა საიუბილეო წლისათვის გაზრდილი სოციალისტიური ვალდებულებანი იკისრა. თავდადებულ შრომას კარგი შედეგებიც მოჰყვა. საიუბილეო წლის საწარმოო გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით 20 დეკემბრისათვის შეასრულეთ. სამშობლომ მიიღო 15 ზეგეგმითი ელექტროენერგია. ბათუმური მარკის ელექტროკარები გაიგზავნა არა მარტო ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ქალაქებში, არამედ უცხოეთის 10 ქვეყანაშიც.

1966 წელთან შედარებით შარშან შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 2 პროცენტით, ხოლო მუშების საშუალო წლიური გამომუშავება 35 მანეთით. ამასთან გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 1,6 პროცენტით.

საიუბილეო წელს ქარხნის კონსტრუქტორების მ. გოცირიძის, გ. მანჩაკვილის, ო. ბასილაძის, ნ. დარმანიანის, ვ. გაბელაიას და სხვათა კოლექტიური შრომით პირველად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა 3 და 5 ტონა ტვირთამწეობის ორიგინალური კონსტრუქციის ელექტროურიკა. ამ მანქანამ გამოცდა ბრწყინვალედ ჩაიბარა. ელექტროურიკის „ეტ-350“ სერიულ წარმოებას (3,2 ტონა ტვირთამწეობისა) შარშან შეუდექით, ხოლო „ეტ-505“ ელექტროურიკა (5 ტონა ტვირთამწეობისა), რომელსაც ელექტრომობილის წინამორბედს უწოდებენ, ქარხნის მიერ ათვისებულია და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სერიულად გამოვა.

ქარხნის ცხოვრებაში გასული წელი აღსანიშნავია იმითაც, რომ გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად საექსპლოატაციო ვადის გაზრდის მიზნით ბევრი რამ გავაკეთეთ. მთლიანად მოდერნიზებულ იქნა და სერიულად გამოვუშვით 3 სახის ელექტროურიკა. სრულყოფილ დამუშავებისა და აწყობის ტექნოლოგია, საგრძნობლად გაეზარდეთ იმ სპეციალისტთა რიცხვი, რომლებმაც პირადი დამღის უფლება მოიპოვეს, აგრეთვე იმ უბნების რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ სარატოველთა მეთოდით — ტექნოლოგიური კონტროლის მუშაკებისათვის დეტალების ჩაბარება პირველი წარდგინებით. გარდა ამისა, საგრძნობლად შევამცირეთ შრომატევადი სამუშაოები. მაგალითად, თუ 1963 წელს ერთი მანქანის შესაქმნელად 205 საათი იხარჯებოდა, ახლა იხარჯება 150-160 საათი.

ქარხნის კოლექტივი წარმატებით ახორციელებს ფულადი სახსრებისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვას, რასაც დიდი შედეგი მოჰყვა. ძირითადად ამან განაპირობა გეგმასთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვნად შემცირება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიური ეფექტურობის მაჩვენებელი გაცილებით უკეთესი გვექნებოდა, რომ საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს თბილისისა და ქუთაისის ლითონთა მომარაგების ბაზები პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ისინი ხშირად არღვევენ მოწოდების გრაფიკებს. მასალები არ მოგვდის დადგენილი სპეციფიკის მიხედვით, რის გამო იძულებული ვართ იგი სხვა პროფილის მასალით შევცვალოთ.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კოლექტივის მიერ განხორციელებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა და მათში სისტემატური სიახლის შეტანა, კომერციული საქმიანობის გაუმჯობესება, პირველადი აღრიცხვის განმტკიცება, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ეკონომიური ცოდნის განუხრელი ამაღლება, საწარმოს მართვის სისტემაში აქტივის ჩაბმა და მუშამოსამსახურეთა მატერიალური სტიმულირების გაძლიერება.

1967 წელი ჩვენი ქარხნის კოლექტივისათვის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ უნდა მოვამზადებულიყავით ხუთ სამუშაო და ორდასვენებისდღიან კვირაზე გადასასვლელად, რაც წარმატებით განვახორციელეთ.

მართალია, ხუთწლედის განვლილი ორი წელი წარმატებით დავამთავრეთ. მნიშვნელოვნად ავამაღლეთ შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი და საწარმოო სიმძლავრისა და ფართობის გაუდიდებლად ბოლო წლებში ერთნაგვარ ჯერ გავზარუეთ პროდუქციის გამოშვება, ჩვენ მაინც იმ დასკვნამდე მივედით, რომ მიღწეული ზღვარი არ არის.

სამუშაო დღის ანალიზმა დაგვანახვა, რომ ჯერ კიდევ დიდია სამუშაო დროის დანაკარგი. მხედველობაში მაქვს ის წუთები, რომლებსაც მუშა კარგავს დავალების მიღებაზე, იარაღისა და სამუშაო ადგილის მომზადებაზე და ა. შ. ასეთი დანაკარგების ფიქსირება და აღმოფხვრა რთულია, მაგრამ აუცილებლობას წარმოადგენს, რაც დიდად შეგვიწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების გაზრდაში.

როგორც ზემოთ აღინიშნე, საწარმოს რიტმულ მუშაობას დიდად აფერხებს საჭირო ლითონითა და სხვა საშუალებებით არარეგულარული მომარაგება.

ჩვენს კოლექტივს სხვა უფრო რთული და მტკივნეული საკითხიც აწუხებს, რომლის მოგვარება ზემდგომი ორგანოების ჩაურევლად შეუძლებელია. მხედველობაში მაქვს ჩვენი საწარმოსათვის ახალი კორპუსების მშენებლობა, რომელიც 1963 წელს დაიწყო და დღემდე კუსტნაბიჯით მიმდინარეობს. თუ კი ამჟამად სხვის ჯერ-ვეშ მოქცეული ჩვენი ქარხანა. ყოველწლიურად უშვებს 3.200 ცალ ელექტროურიკას, ახალი ქარხნის ამოშვებით საწარმოო სიმძლავრე 10.000 ცალ ელექტროურიკამდე გაიზრდება, აგრეთვე საგრძნობლად გავზრდით საყოფაცხოვრებო მომსახურების საქონლის წარმოებას. ამასთან, მოკლე დროში უნდა შევქმნათ და გამოვუშვათ 10 ტონა ტვირთზიდვის ელექტროურიკა. მიუხედავად ასეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებისა, ჩვენი მოსავლიანობის გეგმა, ხოლო ლობი არც ერთი ცენტნერი არ მიუღიათ.

რაიონმა შარშან ყურძნის მოსავლიანობის გეგმას საგრძნობლად დადაჯარბა. სამმის კოლმეურნეობამ კი საიუბილეო წელს სამარცხვინო მოსავალი მიიღო — საშუალოდ ჰექტარზე 13,6 ცენტნერი. ვერ შეასრულა მაგალითს, ხორცის, მარცვლეულის, ბოსტნეულის დამზადების საქმეში ნაკისრი ვალდებულება.

საგარეჯოს რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც საერთოდ რაიონში წინა წლებთან შედარებით უფრო დაახვავეს სოფლის მეურნეობის პროდუქტები, საიუბილეო წელს აღებული ტემში მეურნეობისა და კულტურის განვითარებისა კი არ შეანელეს, არამედ სულ უფრო გააძლიერეს, ცნობილია, რომ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის წინ მოსკოველთა ინიციატივით დაიწყო შეჯიბრება 1970 წლის 7 ნოემბრისთვის ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად. მოსკოველთა ინიციატივას მხარი დაუჭირეს ყველგან. ამ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს მშრომელები. ამ მიმართულებით პატრიოტულ თაოსნობა გამოიჩინეს საგარეჯოელმა მექანიზატორებმა, მათ ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და გადაწყვიტეს სოფლის მეურნეობის დარგში ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ ჯ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

საგარეჯოელთა პატრიოტულ თაოსნობას ჩვენი რესპუბლიკის მექანიზატორებმა, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და ახალი, გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

ინიციატორები სიტყვის შესრულებას შეუდგნენ. მათ უკვე აქვთ პირველი წარმატება. ნაკისრი ვალდებულებით 1968 წლის პირველ იანვრამდე უნდა შეკვეთებინათ 54 ტრაქტორი, ფაქტიურად შეაკეთეს 67 ტრაქტორი, 88 სატრაქტორო გუთანი. ასევე სასახელოდ შეასრულეს სათესი მანქანებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი.

დაიწყო ხუთწლედის მესამე წელი. ახლა საგარეჯოელები მუშაობას აორკეცებენ იმისათვის, რომ საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე — 20 თებერვლამდე მთლიანად გაამზადონ ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

„საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების სარემონტო სახელოსნოდან „დტ-54“ მარკის ტრაქტორი გამოვიდა. სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. თეძრაუშვილი, ტრაქტორისტები ი. ჯიღაური და მ. ბუხალაშვილი დაემშვიდობნენ „საქსოფლტექნიკის“ საგარეჯოს განყოფილების მმართველს ი. აბაზოვს, მთავარ ინჟინერს ზ. ყირმელაშვილს, სახელოსნოს გამგეს ს. მჰედლიშვილს, მადლობა გადაუხადეს მათ მანქანის კარგად შეკეთებისათვის და მშობლიურ სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ვენახში მწკრივთა შორის ნიადაგის მოსახნავად გასწიეს. არ გასულა ორი საათი, რომ სახელოსნოში „დტ-54“ მარკის მეორე ტრაქტორი აამუშავეს და სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობაში გაგზავნეს. მეორე დღეს კი იმავე კოლმეურნეობას კიდევ ერთი შეკეთებული ტრაქტორი ესტუმრა.

ᲛᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲝᲑᲘᲗ, ტემგმიანად მიმდინარეობს ტრაქტორების რემონტი სახელოსნოებში. აქ დღედაღამ არ წყდება ჩაქუჩების კაკუნი, ტრაქტორების გუგუნი...

არის ნაკლიც. ზოგიერთ სახეში ვალდებულება ვერ შეასრულეს. მაგალითად, შარშან უნდა აეთვისებინათ 200 ჰექტარი ახალი მიწები. ეს სამუშაო 160 ჰექტარზე ჩაატარეს. ასევე ვერ შეასრულეს ბუჩქების ამოძირკვის დავალება.

საერთოდ რაიონი მექანიზატორთა კადრების ნ

დამსახურებული ჯილდო

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში მოეწყო სიგელების გადაცემა საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელების გადაცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. კვაჭაძემ** წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **მ. ლელაშვილმა** საპატიო სიგელი გადასცა საბჭოთა კავშირის გმირს **ბ. ა. წულუკიძეს,** რომელიც ჯილდოებულია დაბადების ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად და ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით უმწიკვლო სამსახურისათვის საპატიო სიგელებით დაჯილდოდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკთა დიდი ჯგუფი. დაჯილდოებულთა შორის არიან ზემოდგენ **დ. ზ. კუზნინი,** კაპიტანი **ს. ა. ბალავაძე,** მაიორი **ი. ა. ბეიფაროიანი,** პოდპოლკოვნიკი **ა. ი. გოგორიშვილი,** პოლკოვნიკი **ს. ა. ისაკიანი** და სხვები. სულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი მიიღო 37 კაცმა.

უსინათლოთა საზოგადოების დაარსების ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო სიგელებით დაჯილდოებულია აგრეთვე ამ საზოგადოების სისტემის მუშაკთა დიდი ჯგუფი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ თბილისის სასწავლო წარმოების მუშა **ზ. მ. გუჯაბრძე,** სოფლისულოის სასწავლო წარმოების დირექტორის მოადგილე **ო. ფ. უნაფქოშვილი,** თბილისის ქალაქისა და მუყაოს სასწავლო წარმოების ოსტატი **ა. ფ. თავართქილაძე** და სხვები.

საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ სიგელები გადაეცათ ცეკავშირის განყოფილების უფროსს **ა. ვ. ამბროლაძეს,** შეფ-მზარეულ **ს. თ. ჯობაძეს,** თბილმრეწველკავშირობის საჩუქრების № 1 მაღაზიის დირექტორს **პ. ბ. ფირცხალავას** და სხვებს.

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. ფართოდება საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოთა ქსელი, უმჯობესდება მომსახურება. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში საყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიანიჭეს თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მრავალდარგოვან საწარმოთა გაერთიანების ფეხსაცმლის შემკეთებელ ოსტატს **ვ. ა. აბუაშვილს,** თბილისის ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის № 2 ფაბრიკის დირექტორს **ი. ტ. ბადათურიას,** საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილეს **ს. პ. ნოდიას,** თბილისის ქიმიური წმენდისა და თეთრეულის რეცხვის ფაბრიკის მუშას **ე. ს. ჯოლოკავას** და სხვებს.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს პოდპოლკოვნიკმა **ა. ი. ბოროდკინმა,** საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსმა **ი. ნ. წინამძღვარიშვილმა,** სოფლისულოის სასწავლო წარმოების დირექტორმა **ა. მ. ღოღობერიძემ,** თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საპარიკმახერო მეურნეობის № 2 კანტორის უფროსმა **შ. თ. ისელიძემ,** თბილისის ქალაქისა და მუყაოს სასწავლო წარმოების მუშამ **მ. თ. ლაფაურმა.**

ამხ. მ. მ. ლელაშვილმა დაჯილდოებულთ მიულოცა საპატიო წოდებათა მინიჭება და სიგელებით დაჯილდოება და უსურვა მათ ახალი დიდი წარმატებანი. (საქდესი).

სტიქიური უბედურების შედეგების აღმოფხვრისათვის

რობრც ვიუწყებოდით, გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში დიდმა თოვლმა და გრიგალისებურმა ქარმა ვანის, ჩოხატაურის, სამტრედიისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სოფლებში ვამოიწვია დიდი მეწყერი და ზვავები. სტიქიურმა უბედურებამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ამ რაიონების მოსახლეობასა და სახალხო მეურნეობის ობიექტებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახეს სტიქიური უბედურების შედეგების აღმოფხვრის სამუშაოთა ფართო პროგრამა და შექმნეს სპეციალური რესუსტალიკური კომისია ამ პროგრამის შესრულების ორგანიზაციისა და კონტროლისათვის.

გუშინ, 23 **იანვარს,** გაიმართა სპეციალური რესპუბლიკური კომისიის მორიგი სხდომა.

ინფორმაციები, თუ როგორ შიმდინარეობს მუშაობა სტიქიური უბედურების შედეგების აღმოფხვრისათვის, გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზაგაკეთილების მთავარი სამართველოს უფროსმა გ. რობიტაშვილმა, რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის წევრმა ვ. სარაჯიშვილმა, კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ ნ. ჩხიკვაძემ, ფინანსთა მინისტრმა ა. ჭიჭაქაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსმა დ. ჩხეიძემ, საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. დავითაშვილმა, პარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ყიფიანმა, პარტიის სამტრედიის რაიკომის მეორე მდივანმა ნ. კოხრეიძემ.

კომისიამ დასახა სტიქიური უბედურების შედეგების აღმოფხვრის დაჩქარების ღონისძიებანი. (საქდესი).

ვაშინგტონის მანევრები

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. (საკდესი). ვიეტნამელი ხალხისათვის შეურაცხმყოფელია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის შეწყვეტის პირობები, რომლებიც პრეზიდენტმა ჯონსონმა წამოაყენა კონგრესისადმი წერილში „შეერთებული შტატების მდგომარეობის შესახებ", განაცხადა სენატორმა რობერტ კენედიმ ტელევიზიით.

„ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ გვსურს მოლაპარაკება, მაგრამ როცა ასეთ პირობებს ვაყენებთ, ეს ნიშნავს, რომ უსტაყვო კაპიტულაციას მოვითხოვთ" მოლაპარაკების დაწყებამდე. თუ ამერიკის შეერთებული შტატები ამ პირობებს არ შეასრულებენ, თქვა კენედიმ, „მაშინ, ჩემი აზრით, ჩვენს შვილებსაც დიდხანს მოუწევთ ვიეტნამში ომი".

ასეთსავე აზრს გამოთქვამს გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი". გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მშვიდობიან მოლაპარაკებას კი არა, არამედ ვიეტნამის ომის განგრძობას ესწრაფვის. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვაშინგტონი განზრახ აყენებს ვიეტნამის კონფლიქტის მოწესრიგების მკაცრ პირობებს, რათა ეს პირობები მიუღებელი იყოს მეორე მხარისათვის და ამით გაამართლოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომი დაბომბვა.

„ნიუ-იორკ ტაიმსი" „უურადღებას უთმობს ვაშინგტონის მანევრებს, რომელთა საშუალებით, გაზეთის აზრით, სურთ მოიგონ დრო და შეასუსტონ ამერიკის შეერთებულ შტატებში მზარობა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის დაუყოვნებლივი შეწყვეტისათვის. გაზეთი შემოფოთით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, როგორც ჩანს, ამჟამად არა აქვს სერიოზული სურვილი დაიწყოს მშვიდობიანი მოლაპარაკება. ყველაფერი ძველებურად მიდის და, მგონი მშვიდობის თაობაზე ლაპარაკის ახალი ტური დამთავრდება ქვეი „დიპლომატიური ჩიხით და ომის გაფართოებით", წერს გაზეთი.

„მშვიდობის გზაზე არ ჩანს პროგრესი, — წერს გაზეთი. — არაფერი არ დასტურებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებენ პოზიციის შეცვლას ვიეტნამში. „ნიუ-იორკ ტაიმსი" შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავრობა ყურს უგდებს სამხედროებისა და „ქორების" რჩევას.



გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ქალაქ ჰალეში სახალხო საწარმო „იფა-კაროსერი-ვერკში" დამთავრდა რეკონსტრუქციის პირველი ეტაპი. საექსპლოატაციოდ გადაეცა ხუთი ავტომატური კონვეიერული ხაზი, დაიწყო ახალი ავტომანქანების „ვარტბურგ-ტურისტის" ძარების სერიული წარმოება (სურათზე).

ფოტო ადნ-საქდესისა

ვენესუელის საზოგადოებრიობა მიესალმება

კარაკასი, 23 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი სერვანდო ბარსეა პონსი გვატყობინებს:

აქ უდიდესი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირისა და კოლუმბიის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენამ. ყველა გაზეთი პირველ გვერდზე ბეჭდავს ცნობას ამის შესახებ. „ნასიონალი" აღნიშნავს, „რომ ამ ურთიერთობის აღდგენა დადებით გავლენას მოახდენს მთელ ლათინურ ამერიკაზე.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა ვენესუელელმა გენერალმა ხოსე რაფაელ გალადონმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა, რომ ვენესუელამ უნდა გადადგას ასეთივე ნაბიჯი, რომელიც შეესაბამება მის ეროვნულ ინტერესებს.

კოლუმბიის ელჩმა ვენესუელაში არსინიეგასმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები ვერ აწარმოებენ დიალოგს მხოლოდ შეერთებულ შტატებსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, რადგან ასეთი ურთიერთობა ხელს უშლიდა ეკონომიური დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის ჩვენი ბრძოლის გაძლიერებას.

როგორც ვენესუელის ცენტრალური უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა პედრო ბეროესამ თქვა, ურთიერთობის აღდგენა კოლუმბიასა და სსრ კავშირს შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა მიმდინარე წლის დასასრულს. ვენესუელამ უნდა გადადგას ასეთივე ნაბიჯი, რომელიც შეესაბამება მის ეროვნულ ინტერესებს.

კოლუმბიის ელჩმა ვენესუელაში არსინიეგასმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები ვერ აწარმოებენ დიალოგს მხოლოდ შეერთებულ შტატებსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, რადგან ასეთი ურთიერთობა ხელს უშლიდა ეკონომიური დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის ჩვენი ბრძოლის გაძლიერებას.

როგორც ვენესუელის ცენტრალური უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა პედრო ბეროესამ თქვა, ურთიერთობის აღდგენა კოლუმბიასა და სსრ კავშირს შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა მიმდინარე წლის დასასრულს. ვენესუელამ უნდა გადადგას ასეთივე ნაბიჯი, რომელიც შეესაბამება მის ეროვნულ ინტერესებს.

„ინტერკრაიზმა" ეაღამდე ლატოვა სასვგი

ტოკიო, 23 იანვარი. (საკდესი). დღეს დილით სასვგოს რეიდიდან გამოცხადებულ ვადაზე ერთი დღით ადრე გავიდნენ ამერიკის ატომური ხომალდები — ავიამზიდი „ენტერპრაიზი" და ფრეგატი „ტრაქსტონი".

როგორც იუწყებიან, ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტის ხომალდებს ეს რაზმი „სტრატეგიული მისიით" წავიდა ვიეტნამის წყლებში.

ტროეველი ბიბლიოთეკა

კატასტროფა

ნიუ-იორკი, 22 იანვარი. (საკდესი). გუშინ სანფრანცისკოს ფრენის დროს ატომური ბომბებით დატვირთული ამერიკული ბომბდამშენი „ბ-52" დაიმსხვრა იძულებითი დაჯდომის დროს ტულეს სამხედრო ბაზის მახლობლად (გრენლანდია). ეკიპაჟის შვიდი წევრიდან ერთი დაიღუბა, ერთი უკვალოდ დაიკარგა.

პრესა გამოთქვამს შიშს, რომ შეიძლება ატომური აფეთქება მოხდეს კატასტროფის ადგილას. ამასთან დაკავშირებით დღეს პენტაგონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ „ატომური მოწყობილობანი არ ყოფილა საბრძოლოდ გამზადებული და აფეთქების საფრთხე გამორიცხულია".

იტყობინებიან რა ამას, ამერიკის საინფორმაციო საგენტოები ამავე დროს აღნიშნავენ, რომ სამხედროსაჰაერო ძალების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ეთქვათ, იპოვეს თუ არა უკვე ეს ბომბები და რამდენად დაზიანდნენ კატასტროფის დროს. საგენტოები აგრეთვე წერენ, რომ ეს უკვე პირველი შემთხვევა არ არის, როცა ავარია მოხდის ატომური იარაღით აღჭურვილ ამერიკულ ბომბდამშენს. როგორც ცნობილია, 1966 წლის იანვარში ესპანეთის ნაპირებთან „ბ-52"-სა და გამწყობი თვითმფრინავის შეჯახების შედეგად 4 წყალბადის ბომბი დაიკარგა.

ამერიკაში გაუშვეს „მთვარის კაბინა"

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. (საკდესი). დღეს 1 საათსა და 48 წუთზე მოსკოვის დროით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაუშვეს 15-ტონიანი კოსმოსური აპარატი „მთვარის კაბინა". გაშვება, რომელიც რაკეტა „სატურნ-1"-ის საშუალებით მოხდა, „აპოლონის" პროგრამით გათვალისწინებული მორიგი ექსპერიმენტია. ეს პროგრამა ითვალისწინებს 1970 წელს ადამიანის გადასვლას მთვარეზე. გაშვების მიზანია აპარატის ძრავათა სისტემების მუშაობის შემოწმება კოსმოსური სივრცის პირობებში.

გაშვებიდან რამდენიმე საათის შემდეგ რამდენჯერმე ჩართეს და ამორთეს „მთვარის კაბინის" ძრავები, რაც მთვარეზე მომავალი დაჯდომებისა და მთვარიდან სტარტების იმიტაციას წარმოადგენდა. მაგრამ ძრავები გაცილებით ნაკლებ დროს მუშაობდნენ, ვიდრე პროგრამით იყო გათვალისწინებული.

ეძიებების სკეპტიციზმი

ნიუ-იორკი, 22 იანვარი. (საკდესი). სტანფორდის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში გაკეთებულ გულის გადანერგვის წარუმატებელ ოპერაციას, რომელიც მაიკ კასპერაკის სიკვდილით დამთავრდა, არ გაუკვირვებია ბევრი ამერიკელი ექიმი, რომლებიც სკეპტიკურად ეკიდებოდნენ ასეთ ექსპერიმენტს. ოცი ამერიკელი სპეციალისტიდან, რომლებიც „სი-ბი-ესის" სატელევიზიო კომპანიამ გამოკითხა, ნახევარის აზრით, ასეთი ოპერაციების გაკეთება ჯერჯერობით ნაადრევია.

ოფიციალურად აღიარეს

ვაშინგტონი, 23 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მაკლოსკიმ გუშინ აღიარა, რომ ამერიკისა და საიგონის ჯარები 18 იანვარს შეიჭრნენ კამბოჯის ტერიტორიაზე. მისი სიტყვით, ეს თითქოს არ მომხდარა „წინასწარი და მტრული განზრახვით". ამერიკის შეერთებული შტატების თავრობამ, თქვა მან, დანაბეგი გამოთქვა იმის გამო, რომ ამ აქციას შეიძლება მსხვერპლი მოჰყვა კამბოჯის მოსახლეობაში.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **იუგოსლავიის** სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ი. ბროზ ტიტო 22 იანვრიდან ოფიციალურ ვიზიტად ემყოფება დელიში ინდოეთის პრეზიდენტის ზაქირ ჰუსეინის და პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის მიწვევით.

◆ **რუმინეთის** სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იონ გეორგე მაურერი ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა რომში. მოგზაურობისას მას ახლავს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი კორნელიუ ბენესკუ.

◆ **„ბენკ ოფ ქანადამ"** გამოაცხადა, რომ 6-დან 7 პროცენტამდე დიდდება დისკონტის განაკვეთები. ეს ამ განაკვეთების ყველაზე მაღალი დონეა კანადის მთელი ისტორიის მანძილზე. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო იუწყება, ეს ღონისძიება გამოწვეულია მსოფლიო ვალუტის ბაზრის უკანასკნელი ამბებით და მიზნად ისახავს კანადური დოლარის განმტკიცებას.

◆ **ბუდაპეშტში** ჩავიდა ხაბეთოთა კავშირუნგრეთის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია. უნგრეთ-ხაბეთოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელობასთან ერთად დელეგაციის წევრები განიხილავენ და ხელს მოაწერენ ორი საზოგადოების თანამშრომლობის მომდინარე წლის გეგმას.

◆ **თურქეთის** რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯევდეთ სუნაი საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში ჩავიდა. სუნაის მოლაპარაკება იქნება საუდის არაბეთის მეფე ფეიხალთან და სხვა საუდელ ოფიციალურ პირებთან.

◆ **ბულგარეთში** მოიმატა პურის ფასმა. ეს 1967 წლის შემდეგ პურის ფასის მეორე მომატებაა. (საკდესი).

ბორტუგალიელი პატრიოტის სიცოცხლე საფრთხეშია

პარიზი, 22 იანვარი, (საკდესი). ექვსი დღე-ღამის განმავლობაში პორტუგალიის პოლიტიკური პოლიციის — პიდეს საპყრობილეში უძალობთან აწამებდნენ აიდა პაულს. იგი ჯერ კიდევ ივლისში დაპატიმრეს პოლიტიკური მოღვაწეობისათვის.

გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება ამას და აღნიშნავს, რომ აიდა პაულომ საპყრობილეში გაატარა რვა წელი. წამებამ, საპყრობილის საშინელმა პირობებმა იგი დააავადეს, და კაშიასის საპყრობილის საავადმყოფოს ექიმებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ შემდგომ დაკითხვებს ან ხანგრძლივ პატიმრობას შეიძლება მოჰყვეს პაულს დაუბავი.

„ვერავინ ვერ იქნება უგრძნობელი ამ დანაშაულის წინაშე", — ნათქვამია პორტუგალიელ დემოკრატთა მოწოდებაში პორტუგალიისა და მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრისადმი. სალაზარის მთავრობის იუსტიციის მინისტრისათვის გაგზავნილ პეტიციაში, რომელსაც 27 პორტუგალიელი იურისტი აწერს ხელს, ისინი მოითხოვენ ბოლო მოეღოს ჰიტლერულ მეთოდებს პორტუგალიაში.

მოლით გადასახადების გადიდება

ვაშინგტონი, 23 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი 10 პროცენტით გაადიდოს საშემოსავლო გადასახადი. ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა გ. ფაულერმა გუშინ წარმომადგენელთა პალატის საბიუჯეტო კომისიაში აღიარა, რომ ეს ღონისძიება აუცილებელია, რათა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შესრულოს ვიეტნამის ომთან დაკავშირებული ვალდებულებანი.

ფაულერმა განაცხადა, რომ გადასახადების გაუდიდებლად „ვერ შემცირდება" საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი, რომელიც მიმდინარე საფინანსო წელს 22,8 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

გულის ოპერაცია ადის-აბებაში

ადის-აბება, 23 იანვარი, (საკდესი). ბალჩის სახელობის საბჭოთა ჰოსპიტალში გუშინ გააკეთეს გულის ოპერაცია. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ი. კოლესნიკოვა, ქირურგები ვ. ი. ვასილიევი და ა. ნ. გლაგოლევი ხამ საათზე მეტ ხანს იბრძოდნენ ასპარეზი 30 წლის პაციენტის სიცოცხლისათვის, რომელსაც უკვე ოთხი წელია აწუხებდა აორტული სტენოზი. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ორი საათის განმავლობაში ოპერაციას თვალს ადევნებდა იმპერატორი ჰაილე სელასიე 1-ელი.

ამერიკული თვალთმაქცობის ნიმუში

კამბოჯის სასაზღვრო საგუშაგო პოსტი (პრეივენგის პროვინციაში) ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის ჯარების ახალი ავანტიურა თავდასხმის ობიექტი გახდა. ინტერვენტებმა ავიაციის დახმარებით იერიში მიიტანეს ამ საგუშაგოზე 18 იანვარს. ამის შედეგად პეამ მონტეის დამცველთა შორის არიან დახოცილნი და დაჭრილნი. როგორც იუწყებიან, კამბოჯის ტერიტორიაზე ნაბომბი აღმოჩენილა, რომელიც თავდამსხმელებს დარჩენიათ და ჩადენილი დანაშაულის უცილობელი ნივთიერი მტკიცებულებაა.

ეს სერიოზული ინციდენტი მოხდა მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, რაც „ფრიად პატივცემულმა ჩესლერ ბოულსმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა", კამბოჯის დედაქალაქში ვიზიტის დროს ესოდენ მშვიდმეტყველურად გაიბა ლაპარაკი იმაზე, რომ „შეერთებული შტატები პატივს სცემს კამბოჯის სუვერენიტეტს, ნეიტრალიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას".

ბოულსი კამბოჯელებს დაჰპირდა, და ეს კომუნიკეშიც აისახა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „ყოველ ღონეს იხმარს, რათა თავიდან აიცილოს აგრესიის აქტები კამბოჯის წინააღმდეგ, აგრეთვე ინციდენტები და უბედური შემთხვევები, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მსხვერპლი და დაზარალოს კამბოჯის მცხოვრებნი".

მაგრამ ამერიკელი ემისრის ამ საქვეყნო განცხადებებზე ჯერ მელანიც კი არ გამშრალა, ნეიტრალური კამბოჯის წინააღმდეგ კი უკვე მიმართავენ აგრესიულ აქტებს. პეამ მონტეაში მომხდარი ინციდენტი ადასტურებს, სახელმწიფო მდივნის თანაშემწის უ. ბანდის ამ განცხადებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სრულიადაც „არ თმობს უფლებას" დაარღვიოს კამბოჯის საზღვარი. ოფიციალური ვაშინგტონი ცდილობდა ამ განცხადებით გამოწვეული აშკარა უსამოვნო შთაბეჭდილება გაექარწყლებინა მიკიბ-მოკიბული ფრაზებით.

იგი ამტკიცებდა, თითქოს ბანდის მხედველობაში ჰქონდეს არა „დაკინებული ღონე" კამბოჯის ტერიტორიაზე, არამედ ამერიკის ჯარების „თავდაცვა". მაგრამ როცა თვით ბანდის 12 იანვარს პრეს-კონფერენციაზე ჰკითხეს, რა განსხვავებაა ამ გამოთქმებს შორისო, მან უპასუხა, რომ არაკითარი განსხვავება არ არის და რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მხოლოდ ამჯობინებს „თავდაცვა" უწოდოს მოქმედებას კამბოჯის წინააღმდეგ.

იქნებ ვაშინგტონშიც „თავდაცვა" უწოდონ ახალ თავდასხმას პეამ მონტეაზე. ამერიკელი გენერლები და პროპაგანდისტები ხომ ამკარა მონაჩმახებს ავრცელებენ იმის შესახებ, თითქოს კამბოჯის ტერიტორიას სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ძალები იყენებდნენ.

პეამ მონტეას პირველად როდი უტევენ ინტერვენტები. სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიასთან ერთად უცხოელი კორესპონდენტები, რომელთა შორის მეც ვიყავი, ვეწვიეთ პეამ მონტეას 1966 წლის ნოემბერში, როცა სამხრეთ ვიეტნამისა და ამერიკის ჯარების ციცხლის შედეგად კამბოჯის ამ პუნქტში დახოცეს ხუთი კაცი და გამოიწვიეს დიდი მატერიალური ზარალი. საერთაშორისო კომისიასა და ჟურნალისტებს არ უნახავთ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ძალების რაიმე თავშესაფარი არც ამ რაიონში, არც სხვა ადგილებში. სასაზღვრო ხაზი აქ მდინარეზე გადის და სრულიად გარკვეულია.

ამრიგად, ვაშინგტონის მტკიცებანი, როგორც ეს ამასწინანდელ საბჭოთა განცხადებაში აღინიშნა, სხვა არა არის რა, თუ არა საბაბი მტრული მოქმედებისათვის კამბოჯის წინააღმდეგ, ცდა წინასწარ გაამართლონ ეს მოქმედება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ თანმა 18 იანვარს პრეს-კონფერენციაზე ხაზი გაუსვა, რომ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებმა „კატეგორიულად გამოაცხადეს კამბოჯა ნეიტრალურ სახელმწიფოდ".

უ თანმა თქვა, რომ 1955 წელს ნეიტრალური კამბოჯა ერთსულოვნად მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად ყველა სახელმწიფომ ვალდებულება იკისრა პატივი სცენ კამბოჯის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამრიგად, ჟენევის შეთანხმებათა თვალსაზრისითაც და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თვალსაზრისითაც, კამბოჯის ნეიტრალიტეტი, დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა საგსებით გარანტირებული უნდა იყოს.

საბჭოთა მთავრობამ ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განუცხადა, რომ გადაჭრით გმობს კამბოჯის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ყოველგვარ ცდებს, და ხაზი გაუსვა, რომ გულგრილი ვერ დარჩება მოვლენათა ასეთი განვითარებისადმი. მსოფლიო საზოგადოებრიობამ სამართლიანად შეაფასა საბჭოთა განცხადება, რომელიც სერიოზულად აფრთხილებს იმათ, ვინც ხელყოფს კამბოჯის სუვერენიტეტსა და ნეიტრალიტეტს.

ვ. ხარკოვი,
საკდესის მიმმხილველი.

კომუნისტი
მე-8 გვერდი, ოთხშაბათი,
24 იანვარი, 1968 წ.

მისი კეთილი ნაკვალევი

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 50 წლისთავისათვის



ზარანი პატარა სოფელია ორჯონიკიძის რაიონში. აქ, ღარიბი გლეხის კონსტანტინე ბლუაშვილის ოჯახში, დაიბადა ვაჟი, რომელსაც ნიკოლოზი დაარქვეს. ეს იყო ჩვენი საუკუნის დასაწყისში.

ხელმოკლე ოჯახი როდი ანებივრებდა შვილებს. ფუფუნებისათვის არც საშუალება იყო და არც სურვილი. ჭაბუკ ნიკოლოზს შრომაც უყვარდა და სწავლაც. ბეჯითი შრომითა და სწავლით ვაიკაფა ძნელი გზა ცხოვრებაში გლეხის უმაწვილმა.

ახალგაზრდა ნიკოლოზს ეკონომიურად ერთობ უჭირდა, მაგრამ წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელოსნო სასწავლებელი. თვრამეტი წლისა იყო, როცა სანაინის დეპოში ჯერ ზეინკლად, ხოლო შემდეგ მემანქანის თანაშემწედ მუშაობდა. ბუნებით მკვირცხლი და ნიჭიერ უმაწვილს ყველაფერი იზიდავდა, აინტერესებდა...

1919 წელს კომუნისტი ხდება, რკინიგზელებში რევოლუციური მუშაობას ეწევა, წერს ბოლშევიკურ გაზეთ „კომუნისტში".

იგი გამოირჩეოდა ცოდნით, პატიოსნებით, პირდაპირობით, რევოლუციური გატაცებით. არალეგალური მუშაობისათვის ნ. ბლუაშვილს მენშევიკური მთავრობა სდევნიდა. იგი ორჯერ დაპატიმრეს.

დევნა-შევიწროებამ უფრო გამოაწრთო და გამობრძმედა ნიკოლოზი. 21 წლის შეხვდა იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ნიკოლოზი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკია. იგი მუშაობდა პარტიის ბარაგოულისა და ჭიათურის რაიკომების მდივნად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად.

ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს აღორძინებისათვის, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის მუდამ ზრუნავდა დიდი ლენინი. ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის შეიქმნა ქართული წითელი არმია, რომელიც საბჭოთა არმიის ორგანული ნაწილი იყო. ეს გაკეთდა ბელადის მითითებით.

არმიის განმტკიცების მიზნით პარტიამ იქ წარგზავნა სამი ათასამდე გამობრძმედილი ბოლშევიკი. მათ შორის იყო 28 წლის, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილი, მტკიცე პარტიული მუშაკი ნ. ბლუაშვილი.

ნ. ბლუაშვილმა არმიაში გამოიჩინა სამხედრო-პოლიტიკური მუშაკის ჩინებული უნარი. იგი იყო უაღრესად შრომისმოყვარე, დისციპლინიანი, პრინციპული, მომთხოვნი თავისი თავისა და ხელქვეითებისადმი. მკაცრ მომთხოვნელობასთან მასში შეხამებული იყო დიდი გულისხმიერება, თავგზნაობა და თავმდაბლობა. ამიტომ უყვარდათ იგი გულწრფელად, აფასებდნენ, პატივს სცემდნენ.

ამირკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთმა „ლენინსკოე ზნამიამ" გასული წლის 14 ივნისს დაბეჭდა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ვეტერანის, თადარიგის პოდპოლკოვნიკის კ. ოლეინიკის მოგონება სათაურით „კეთილი ნაკვალევი". მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს.

„კავკასიის წითელდროშოვანმა არმიამ იცის ბევრი სახელგანთქმული წითელარმიელის, მეთაურისა და პოლიტმუშაკის სახელი. მათ შორის სამართლიანად ითვლება ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ბლუაშვილი. ჩვენი საუკუნის ტოლმა, ღარიბი გლეხის ოჯახიდან გამოსულმა, დაჟინებული შრომით განვლო თავისი სიცოცხლის გზა. როცა ბ. ი. ლენინის პირდაპირი მითითებით საქართველოში შეიქმნა წითელი არმიის ეროვნული ნაწილები, ბლუაშვილი მოვიდა მის სახელოვან რიგებში. რიგითი მებრძოლი კომუნისტიდან იგი გაიზარდა დიდ პოლიტმუშაკამდე კავკასიის წითელდროშოვანი არმიის, ხოლო შემდეგ ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემდე.

მე ბედნიერება მხვდა მემუშავნა მასთან. ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე მუდამ იყო თავდადებული, ამხანაგებისადმი გულშემატკივარი, წითელარმიელთა მეგობარი და კეთილი მრჩეველი. იგი ყველაფერზე მეტად ვერ ითმენდა სიყალბეს, დაუდევრობას, უფროსთა განკარგულებისადმი უპატივცემლობას"...

ავტორი იგონებს ნ. ბლუაშვილის პირდაპირობის და გულისხმიერების მკაფიო მაგალითებს და დასძენს:

„სამართლიანი, მგრძნობიარე, გულისხმიერი დარჩა ჩვენს ხსოვნაში ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე. თავისი ძალების გაფურჩქნისას ტრაგიკულად შეწყდა მისი სიცოცხლე. ახალგაზრდა თაობა აუცილებლად უნდა იცნობდეს ამ შესანიშნავ კომუნისტს, პოლიტმუშაკს, მ

თბილისსაც ეწვია თოვლი

ვაკის ბაღში. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მხატვარ ე. მაყაშვილის ჩანახატი.

ლენინის მოედანზე. ფოტო გ. გოგობიასი.

რ. ს. კუკულდავა

გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1917 წლიდან ნიკოლაი ილიბისტროს-ძე კუკულდავა.

რ. კუკულდავა დაიბადა 1886 წელს. 15 წლის ჭაბუკი იყო, მუშაობა რომ დაიწყო სამჭედლოში. 1902 წელს წავიდა ქ. ბაქოში, სადაც მოუსწრო 1905 წლის რევოლუციამ, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

1906 წელს რ. კუკულდავამ მუშაობა დაიწყო ზეინკლად შიბაევის სარეწებზე, მაგრამ მალე დათხოვეს მუშათა მოძრაობაში მონაწილეობისათვის. 1906-დან 1910 წლამდე მსახურობდა მეფის არმიაში. 1910-დან 1914 წლამდე მუშაობდა წყალსატუმბის მემანქანედ ქ. ბაქოში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ რ. კუკულდავა აქტიურ მონაწილეობას იღებს რევოლუციურ მოძრაობაში: რკინიგზელთა წითელი გვარდიის რაზმის მეთაურია ქ. კურსკში, ხოლო სამოქალაქო ომის წლებში იბრძვის სამხრეთის ფრონტზე, თეთრგვარდიელთა და მახნოს ბანდების წინააღმდეგ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ რ. კუკულდავა პასუხსაგებ პარტიულ და სამეურნეო სამუშაოებზეა.

1922-1923 წლებში იგი მუშაობს პარტიის ქ. კურსკის ერთ-ერთი რაიკომის ინსტრუქტორად. 1923-1924 წლებში საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორია. 1925-1928 წლებში მუშაობს საქართველოს კპ (ბ) თიანეთის რაიკომის პასუხისმგებელ მდივნად.

1928-1929 წლებში რ. კუკულდავა თბილისის საქალაქო საბჭოს პარტკომის პასუხისმგებელი მდივანია. 1929-1930 წლებში მუშაობს ბაშკიჩეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, 1930-დან 1938 წლამდე საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშგლეხინის ინსტრუქტორად, საქართველოს კპ (ბ) თბილისის კომიტეტის სტალინის რაიკომის საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ, საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საქალაქო კომიტეტის პარტკომისიის მდივნად. 1938-დან 1954 წლამდე რ. კუკულდავა იურიდიულ სამუშაოზეა. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წოელი დროშის ორდენით და მედლებით.

თავმდაბალი და გულისხმიერი ამხანაგის რ. კუკულდავას ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

თაფლის ხეობა

ქართული ფუტკრის მუხურის სახელმწიფო საჯიშეში

ბევრმა არც კი იცის, რომ ქართული ფუტკრის მოშენების მუხურის სახელმწიფო საჯიშეად ყოველწლიურად საზღვარგარეთ, მსოფლიოს ორმოცზე მეტ ქვეყანაში — ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ინდოეთში, ინდონეზიაში, ავსტრალიაში, კუბაში, ბრაზილიაში და სხვაგან იგზავნება ქართული მთის რუხი ფუტკარი. იგი განთქმულია თავისი განსაკუთრებული თვისებებით. ამ ფუტკრის ხორთუმის სიგრძე 7,2 მილიმეტრს აღწევს — 1,5 მილიმეტრით გრძელია ჩვეულებრივი ფუტკრის ხორთუმზე.

ეს საშუალებას აძლევს ფუტკარს გამოიღოს ნექტარი ისეთი ყვავილებიდან, რომლებიც მიუწვდომელია სხვა ფუტკრებისათვის. მისი ფრენის რადიუსი თითქმის 7 კილომეტრს უახლოვდება, ამასთან იგი სამუშაო სეზონს იწყებს სხვა ჯიშის ფუტკარზე 15-20 დღით ადრე და ამთავრებს თვენახევრით გვიან. ამ ფუტკრის პროდუქტიულობა 30 პროცენტით აღემატება სხვა ფუტკრისას. ამიტომ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში და საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნილებაა მუხურის ფუტკარზე.

1948 წელს მთის სოფელ მუხურში (ჩხოროწყუს რაიონი). რომელიც მდინარე ხობისწყლის სათავესთან მდებარეობს და რომელსაც გარს აკრავს 24 ათასი ჰექტარი ტყე, ჩამოყალიბდა ქართული ფუტკრის მოშენების სახელმწიფო საჯიშე. საჯიშეს მთავარი დანიშნულებაა საქვეყნოდ განთქმული ტყის ქართული რუხი ფუტკრის ამანათ-ნაყრების და მაღალხარისხოვანი დედების მასობრივი გამოყვანა სხვა ჯიშების ფუტკრის გასაუმჯობესებლად.

ჩამოყალიბებისთანავე საჯიშე 300 ფუტკრის ოჯახს ითვლიდა, ამჟამად კი იქ უკვე 2.700 ოჯახია. დედებისა და ამანათ-ნაყრების გამოყვანა რესპუბლიკაში ახალი საქმე იყო. მეურნეობას არ ჰყავდა ამ საქმის კვალიფიციური პაციალისტები და არ გააჩნდა საჭირო გამოცდილება. ამიტომაც გამოყვანილი დედების და ნაყრების რაოდენობა მხოლოდ ათეულობით და ასეულებით განისაზღვრებოდა. სულ სხვა ამჟამად. წარმოების ტექნოლოგიის, მრავალ სიახლეთა დანერგვისა და მეფუტკრეთა კადრების დაოსტატებასთან დაკავშირებით პროდუქციის გამოშვება მკვეთრად გაიზარდა. თავისი არსებობის მანძილზე საჯიშემ 4.000-ზე მეტი დედაფუტკარი და 5 ათასამდე ნაყარი გაყიდა. მათ შორის საზღვარგარეთ — 3 ათასზე მეტი დედაფუტკარი და მრავალი ათეული ნაყარი.

მეურნეობის ექსპონატებს ორჯერ მიეკუთვნა საერთაშორისო გამოფენების პირველი ჯილდო და დიდი ოქროს მედალი — პირველად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. ერფურტში სოციალისტური ქვეყნების მეგადეგობის, მებოსტნეობისა და მეფუტკრეობის გამოფენაზე, ხოლო მეორედ—რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ ბუქარესტში მეფუტკრეობის საერთაშორისო მეოცე საიუბილეო კონგრესზე მოწყობილ გამოფენაბაზრობაზე.

1961 წელს ქ. ერფურტში გამოფენის პერიოდში საჯიშეს ფუტკრის ორმა ოჯახმა 97 კილოგრამი სასაქონლო თაფლი დაგროვა, რითაც გამოფენის ყველა მონაწილე განაცვიფრა. არც ერთი სხვა ჯიშის ფუტკარს ამის ნახევარიც არ დაუგროვებია.

მეურნეობის სპეციფიკურმა პირობებმა და ფუტკრის თვალსაჩინო ღირსებებმა და უბრალტესობამ განაპირობა მისადმი დიდი ინტერესი და კლიენტურის მრავალფეროვნება. ყველაზე საპატიო და მნიშვნელოვანი დაკვეთები დღეისათვის მუხურის სახელმწიფო საჯიშედან სრულდება, საექსპორტო კი — პირველ რიგზეს. მეურნეობის კლიენტების შორის არიან მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბულგარეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, თხოულობენ რჩევა-დარიგებას, იწვევენ სტუმრად, უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს და გამოცდილებას. 1964 წელს მეურნეობა ინახულა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა ლ. რადოევმა, რომელმაც მუხურიდან წაიყვანა 10 დედაფუტკარი, გამოსცადა ისინი საცდელ სადგურებში და პრესაში მაღალი შეფასება მისცა.

სოფლის მეურნეობის არცერთი დარგი არ არის ისე მოჭაჭვული ამინდზე, როგორც მეფუტკრეობა. წელს კი ხშირად ცუდი ამინდები იყო ფუტკრის ღალიანობისა და გამრავლებისათვის. მაგრამ საჯიშეს ადამიანები დღედაღამ შრომობენ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ესენი არიან მოწინავე მეფუტკრეები: რ. ანთია, პ. აბშილავა, ს. ფირცხელავა, გ. თოლორდავა, ზ. გახარია, ზ. თოლორდავა, ღ. გახარია, ცოლ-ქმარი მ. და გ. გაბედავები, ს. ჩიქოვანი და სხვები. ბევრმა მათგანმა უკვე შეასრულა დედებისა და ამანათ-ნაყრების გამოყვანის გეგმა.

არ შეიძლება ქებით არ მოიხსენოთ მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი ხ. ყორდია. მუდამ მოუღლელი, მხნე და ბრინციპული მუშაკი ფუტკარივით მშრომელია. უნარიანად ხელმძღვანელობს საჯიშეს კოლექტივს მეურნეობის დირექტორი ი. თოლორდავა. აქვე უნდა აღვნიშნოთ საქართველოს მეფუტკრეობის საცდელი სადგურის მეცნიერი მუშაკების ა. ხიდაშელისა და გ. ორმოცაძის ნაყოფიერი შრომა.

ყველაფერი ეს მხოლოდ საჯიშეს დღეანდელი დღეა. მისი ხვალინდელი დღე კი ნამდვილი ბალადა იქნება „ოქროს ფუტკარზე". ფუტკრის ოჯახების რაოდენობა ხუთწლედის დამლევისათვის 3 ათასს მიაღწევს, დეკემბის ყოველწლიური გამოყვანა 25-30 ათასამდე გაიზრდება, ამანათ-ნაყრებისა 1.000-მდე.

საჯიშეს აქვს დამხმარე მეურნეობა: ბაღ-ვენახი, სანერგე, აკაციის ხელოვნური ნარგავები. მარტო მიმდინარე წელს თაფლოვანი მცენარეები 8 ჰექტარზე გაშენდა. ნარგავებმა კარგად გაიხარა. გაიაღლის 2-3 წელი და პატარა ხელოვნური ტყე დაამშვენებს რაიონის ულამაზესი სოფლის — მუხურის ცენტრის მიდამოებს. მომავალ წლებში ეს ღონისძიება კიდევ უფრო ფართო მასშტაბით გატარდება. რამდენ რიგითსა და გამოჩენილ მეფუტკრეს იზიდავს ხობისწყლის ხეობა. ვინ არ ყოფილა აქ, მაგრამ მარტო ხობისწყლის ხეობა ვერ დაიტევს ამდენ სავანძურს. მან ტეხურისა და ჭანისწყლის ხეობაც უნდა დაიპყროს. ენგურის, ტეხურის, ხობისწყლის და ჭანისწყლის ნაპირებზე დატკბებით მწვანე-ცისფრად შეღებილი სკების ლამაზი მწკრივებით, დილიდან საღამომდე მოფუსფუსე ფუტკრის რუხი გუნდების მზერითა და ნექტარის სუნით გაჟღენთილი ჰაერით.

ქართული ფუტკრის დიდ სახელთან გულისამაჩუყებლად გამოიყურებოდა მეურნეობის ღარიბული ხედი, მისი ფიცრული კანტორა, ინვენტარ-ტარით უწესრიგოდ ჩახერგილი ეზოთი. არ ჰყოფნიდათ სათავსები, მოედანი და სხვ. მაგრამ ამას, მოკლე ხანში მოეღება ბოლო. სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებული პროექტით დაიწყო და შენდება საწარმოოადმინისტრაციული და კულტ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობათა მთელი კომპლექსი — მეფუტკრეთა კოხტა, მინიატიურული დაბა. მოკლე ხანში საჯიშეს ექნება თავისი ლაბორატორია, გაიშლება სასელექციო მუშაობა, ჩამოვლენ მეცნიერები, ჩაატარებენ სემინარებს, ამაღლდება საჯიშეს მუშაკთა დახელოვნება. კიდევ უფრო ჯამრჯე და ამტანი გახდება ქართული ფუტკარი, რომ არავის დაუთმოს „ოქროს ფუტკარი" და „ოქროს გვირგვინი".

გ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ახალი გაფრენები

ბათუმი, 23 იანვარი. (საქდესი). ძალაში შევიდა ყირიმ-კავკასიის საექსპრესო ხაზის სამგზავრო გემების მოძრაობის ახალი განრიგები. ახლა ბათუმსა და ოდესას შორის რეგულარულად დადიან კომფორტული თბომავლები „მოლდავია", „კოლხიდა", „ლიტვა", „ლატვია", „ტაჯიკისტანი". თებერვალში მარტსა და აპრილში ამავე ხაზზე დამატებით ივლიან „პობედა", „პეტროდვორეცი" და „უზბეკისტანი". სამგზავრო გემები ბათუმში შემოდიან და გადიან დღეგამოშვებით.

მაისსა და ივნისში იმ გემების რიცხვი, რომლებიც ყირიმ-კავკასიის საექსპორტო ხაზებზე დადიან, მნიშვნელოვნად გადიდდება. საზღვაო მოგზაურობის მოყვარულთ მოემსახურებიან თბომავლები „არმენია", „ბაშკირია", „უკრაინა" და „ადუარია".

ინსბრუკის თეთრ ტრასებზე

ინსბრუკის უნივერსიადაზე საბჭოთა მოთხილამურე ქალიშვილების გამოსვლა 10 კილომეტრის გადარბენაში ტრიუმფით დამთავრდა. მათ სამივე საპრიზო ადგილი მოიპოვეს, ამასთანავე არც მეოთხე და მეხუთე ადგილები დაუთმეს სხვებს.

ჩემპიონი გახდა სვერდლოვსკელი ჟ. ელისტრატოვა — 34 წუთი და 21,9 წამი. ვერცხლის მედალი მოიპოვა მოსკოველმა ლ. მენშიკოვამ, ბრინჯაოსი — სვერდლოვსკელმა ლ. დორონინამ.

ორიეკ მატჩი —მარტში

ბერლინი, 22 იანვარი (საკდესი). მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელები ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალის პირველ მატჩს „კარდიფ სიტისთან" გამართავენ მეტოქის მოედანზე 6 მარტს, და არა 28 თებერვალს, როგორც გათვალისწინებული იყო. ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაიტანა მატჩი, რადგანაც უელსის ნაკრები, რომელშიც „კარდიფ სიტის" ბევრი ძირითადი მოთამაშე გამოდის, სწორედ 28 თებერვალს ხვდება ევროპის ჩემპიონატის მატჩში ირლანდიის ნაკრებს.

უელსელ ფეხბურთელებთან ტორპედოელთა სპასუხო მატჩის თარიღი არ შეცვლილა: ისინი 19 მარტს ხვდებიან ერთმანეთს ტაშკენტში.

ინდოეთის ჩემპიონები

ინდოეთის ღია ჩემპიონატზე დიდი გამარჯვება იზეიმეს საქართველოს ჩოგბურთელებმა.

სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. მეტრეველმა ერთეულთა ასპარეზობის ფინალში დაამარცხა რუმინელი ი. ცირიპი 11:9, 6:3, 6:2 და პირველი ადგილი დაიკავა. ასევე ქალთა შორის თბილისელმა ა. ივანოვამ ფინალში სძლია ინდოელ ჩოგბურთელს ნ. ვასაფბის 6:4, 6:3 და პირველობა მოიპოვა. შერეულ წყვილთა ფინალში ა. ივანოვა და ა. ეტრეველი შეხდნენ ნ. თუხარელსა და ვ. პერეგუოვს. გაიმარჯვეს ა. ივანოვამ და ა. მეტრეველმა 6:0, 7:5.

ლიდერი პოზიციას არ თმობს

უეაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივები განაგრძობენ ბრძოლას ჩემპიონობისათვის.

ჯერჯერობით წარმატებით გამოდის კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი, რომელიც სატურნირო ცხრილის სათავეში დგას. მორიგი მატჩი კიევის არმიელ კალთბურთელებს კვლავ კაუნასის „უალგირისთან" ჰქონდათ და ამჯერადაც წარმატებას მიაღწიეს 75:71 (48:35).

კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს 16 თამაშიდან 12 ქულა აქვს და ლიდერობას ინარჩუნებს. მეორე ადგილზეა თბილისის „დინამო", რომელსაც 23 იანვრისთვის 14 თამაშიდან 10 ქულა ჰქონდა.

ქალგირისი— ნახევარფინალში

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ხელბურთში ქალთა გუნდებისათვის დასახრულს უახლოვდება.

ასპარეზობაში საბჭოთა კავშირიდან გამოდის ვილნიუსის „უალგირისი". ჩვენს ხელბურთელ ქალებს მეორე მეოთხედფინალური მატჩი ჰქონდათ ჰამბურგში ადგილობრივ საკლუბო გუნდთან — „ეტგ"-თან და დამარცხდნენ ანგარიშით 10:14. ამ დამარცხების მიუხედავად საბჭოთა ხელბურთელები ნახევარფინალში გავიდნენ, რადგან მათ პირველი მატჩი ბურთების უკეთესი შეფარდებით (23:12) ჰქონდათ მოგებული.

„მლადოსტმა" თასი მოიპოვა

დამთავრდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება წყალბურთში, რომლის ფინალისტები იყვნენ ზაგრების „მლადოსტისა" და ბუქარესტის „დინამოს" გუნდები. მათი პირველი მატჩი იუგოსლავიაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით 4:2. მეორე ფინალური შეხვედრა შედგა ბუქარესტში. მეტოქეებმა ოთხ-ოთხი ბურთი გაიტანეს და მატჩი ფრედ დამთავრეს.

ამრიგად, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი წყალბურთში გახდა ზაგრების „მლადოსტი".

ოლიმპიური ტრიბუნა

ცნობისმოყვარეთათვის

იცნობდნენ ვათასი წლის წინათ

დღეს შვეიცარიის ქალაქ ვესტეროსში იწყება ევროპის პირველობა ფიგურულ ციგურობაში. ინტერესს მოკლებული არ იქნება გავიხსენოთ ზამთრის სპორტის ამ ულამაზესი სახეობის და მისი უმთავრესი იარაღის — ციგურების წარმოშობისა და განვითარების ისტორია.

თანამედროვე ციგურების წინაპრები სამი ათას წელზე მეტი ხნისაა. ჩრდილოეთის ქვეყნების მკვიდრნი ძველთაგანვე ცდილობდნენ სწრაფად ეცოცოცინოლა და თოვლზე, რისთვისაც ხისგან, ან ცხენისა და ძროხის ძვლისაგან დამზადებულ პრიმიტიულ ციგურებს ხმარობდნენ. ასეთი ციგურების ნიმუშები ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსოფლიოში ყველაზე ძველი ციგურები შედარებით მაინც უფრო სამხრეთით — ყაზახეთში, ბოროვოის ტბასთან იპოვნეს. ისინი ცხენის წვივის ძვლისაგან იყო დამზადებული. ეს ციგურები ჩვენს ერამდე მე-13-მე-12 საუკუნეებით დაათარიღეს.

ძველ რუსულ ხის ციგურებს ლითონის კაჟი ჰქონდა, რომელზეც ხშირად ცხენის თავი იყო გამოსახული. სწორედ აქედან წარმოსდგა მათი რუსული სახელწოდება „კონკი".

ევროპის ქვეყნებში — ჰოლანდიაში, დანიასა და გერმანიაში ციგურები გართობებსა და თამაშებშიც დამკვიდრდა. ეს იყო ფიგურული ციგურაობა, რომელიც ყველაზე სწრაფად გერმანიაში განვითარდა (ალსანიშნავია, მაგალითად, რომ გოეთე ცნობილი მოციგურავე იყო), შემდეგ კი სკანდინავიის ქვეყნებს, ინგლისს, რუსეთსა და სხვა ქვეყნებს მოედო, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

რუსეთში პეტრე პირველის დროს ციგურაობა სახალხო გართობის საყვარელ სახედ ითვლებოდა.

გასულ საუკუნეში მოდად იქცა იალქნებით ციგურაობა, რომელიც ზამთრის სპორტის მეტად პოპულარულ სახეს წარმოადგენდა როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთში.

ციგურაობა ადრე მხოლოდ გასართობი თამაშობა იყო. მას, როგორც სპორტის სახეს, ოფიციალური მსვლელობა მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მიეცა.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში მოსკოვში, პეტერბურგში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ტულასა და რუსეთის სხვა ქალაქებში უკვე არსებობდა სპეციალური საციგურაო მოედნები.

1889 წელს მოსკოვში ჩატარდა სრულიად რუსეთის პირველი შეჯიბრება ციგურაობაში. ასპარეზობის გმირი გახდა ცნობილი რუსი მოციგურავე პანშინი. ამავე წელს ქ. ამსტერდამში პანშინმა მსოფლიოს ჩემპიონის სატიტო წოდებაც მოიპოვა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საციგურაო სპორტმა ჩვენში მასობრივი განვითარება ჰპოვა. 1924 წლიდან იწყება საბჭოთა კავშირის პირველობა ციგურაობაში. საბჭოთა მოციგურავეები დიდ წარმატებებს აღწევენ მსოფლიო არენაზე როგორც ფიგურულ, ისე ჩქარაოსნულ ციგურაობაში.

ს. ედიგარი

* * *

სურათებზე: ციგურაობა იალქნებით; პირველი რუსი მსოფლიოს ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში პანშინი.

ტელევიზია

24 იანვარი

10.30 — კინონარკვევები, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „სამედიცინო რჩევები"— „თქვენი ბავშვის ჯანმრთელობა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — გერმანული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კვალს" მეშვიდე ცაში მივყავართ", II სერია (ქართულ ენაზე), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 —ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდეხას ეკრანი", 18.25 — ბავშვებისათვის — „მუსიკის საათი" (ა. ბალანჩივაძის მე-3 საფორტეპიანო კონცერტი), 19.00 — კინონარკვევი, 19.20 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა" — „როგორ ვამწვანებთ სამგორის მიდამოებს", 19.40 — კინონარკვევი, 19.50 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.10—გადაცემა — „15 წელი ეს ტრაგედაზე" — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ციცინო ციცქიშვილი, 20.45 — მხატვრული ფილმი „ზოსია", 21.55 — გადაცემათა პროგრამა 25 იანვრისათვის, 22.00 — ევროპის პირველობა ფიგურულ სრიალში (გადაცემა შვეიცარიიდან). შესვენების დროს — საინფორმაციო პროგრამა „დრო" (გადმოცემა მოსკოვიდან).

25 იანვარი

10.30 — კინონარკვევები, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15, გერმანული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კვალს" მეშვიდე ცაში მივყავართ" — III სერია (ქართულ ენაზე), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ბავშვებისათვის— მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.30 — ტექნიკის სიახლენი სატელეფონო ქსელში", 19.00—კინონარკვევი, 19.30 — ახალი ეკონომიური რეფორმა, (გადმოცემა მოსკოვიდან) 20.00 —კინონარკვევი, 20.10 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.30 — მხატვრული ფილმი „აქ მყუდრო ადგილებია", 21.55 — გადაცემათა პროგრამა 26 იანვრისათვის, 22.00 — ევროპის პირველობა ფიგურულ სრიალში (გადმოცემა შვეიცარიიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 11 ს. და 18 ს.

მოახლოებული ფინიში

სამი პარტია დარჩა მსოფლიოს პირველობაზე გროსმაისტერების კიეველი ი. კუპერმანი. ა. და რიგელი ა. ანდრეიკოს მატჩის დამთავრებამდე საერთაშორისო შაშში.

გუშინ რესპუბლიკურ საუადრაკო კლუბში შედგა მატჩის მეჩვიდმეტე პარტია. თეთრებით თამაშობდა მსოფლიოს ჩემპიონი ი. კუპერმანი. შეხვედრა დამთავრდა უმედეგოდ.

17 პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 9:8.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

24 იანვარი

10.30 — კინონარკვევები, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15, გერმანული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კვალს" მეშვიდე ცაში მივყავართ" — III სერია (ქართულ ენაზე), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ბავშვებისათვის— მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.30 — ტექნიკის სიახლენი სატელეფონო ქსელში", 19.00—კინონარკვევი, 19.30 — ახალი ეკონომიური რეფორმა, (გადმოცემა მოსკოვიდან) 20.00 —კინონარკვევი, 20.10 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.30 — მხატვრული ფილმი „აქ მყუდრო ადგილებია", 21.55 — გადაცემათა პროგრამა 26 იანვრისათვის, 22.00 — ევროპის პირველობა ფიგურულ სრიალში (გადმოცემა შვეიცარიიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 11 ს. და 18 ს.

რეპლიკა

პატარა თოვლი, დიდი გასაჭირი

როგორც იქნა მოთოვა თბილისში და სიხარული მოუტანა ყველას, დიდსა თუ პატარას. მაგრამ ეს გრძნობა ხანმოკლე აღმოჩნდა, იმდენად ხანმოკლე, რომ სახლიდან ავტობუსისა თუ ტროლეიბუსის გაჩერებაზე მოსვლისთანავე გაქრა, როგორც ის თოვლი, შარშან რომ „უნდა მოსულიყო".

დიდხანს იცადეს სამსახურში მიმავლებმა და გუნდ-გუნდად ფეხით გაუდგნენ გზას. ზოგს ამისათვის საათებიც კი დასჭირდა. ორჭონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში დაგვიანებულთა რიცხვმა გუშინ დილით ოცდაათხუთმეტს მიაღწია, ელმავალსამშენებლოში კი ცამეტს, სხვა დაწესებულებებში და საწარმოებშიც დაახლოებით ასეთივე სურათი იყო.

არაფერს ვიტყოდით, შემთხვევითი ხასიათი რომ ჰქონდეს ამგვარ მოვლენებს. მართალია, უკანასკნელ წლებში იმდენად იშვიათი გახდა თოვლი, რომ ვისაც საქალაქო ტრანსპორტის დროული და წესიერი მუშაობა აბარია, ვისაც ქუჩების თოვლისაგან გაწმენდა ეხება, ჩანს, დაავიწყდათ, რომ ზამთარი მაინც ზამთარია...

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 1 ავტოსატრანსპორტო ტრესტში დილის 9 საათისათვის ქალაქში უნდა გასულიყო 464 მანქანა, გავიდა — 282 (?!). მიზეზი?

„საპაგონ"! ავტობუსის ძრავები, თურმე ნუ იტყვით, გაყინულიყო, მძღოლებმაც ვერ გაბედეს თოვლით დფარული და მოლიპულ გზებზე მანქანების გამოყვანა.

მერედა ხომ არსებობს თოვლსაწმენდები? ბოლოს და ბოლოს, თადარიგი რომ დაეჭირათ, წიდის დაყრა დროულადაც შეიძლებოდა მაგრამ თოვლსაწმენდებმა, რომლებიც თბილისის ყველა რაიონის კეთილმოწყობის კანტორას აქვს, მოედნების გასუფთავება ამჯობინეს(?). მოედნები კი არ იყო ტრანსპორტისათვის პრობლემა, არამედ ის აღმართები და დღმართები, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი ქალაქი. ამიტომ იყო, რომ № 4 მარშრუტის ავტობუსი შუადღემდე არ მოძრაობდა, № 6 მარშრუტი კი საერთოდ გაჩერდა...

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა. მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ: ზამთარსა და თოვლს მომზადებული უნდა შეხვდეთ. ეს უნდა გაითვალისწინონ ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის მესვეურებმა.

ო. ლორთქიფანიძე.

შემთხვევა

გაგრა, 23 იანვარი. (საქდესი). ეს ამ დღეებში მოხდა ლესელიძეში. იმან, რაც „აფხაზკურორტავაჭრობის" მეფარდულემ მიხეილ ფიფიამ ფანჯრიდან დაინახა, შეაძრწუნა იგი. ვიღაც ახალგაზრდამ მანამდე რამდენიმე წუთით ადრე იკითხა, როგორი იყო დღიური ნავაჭრი, ახლა იგი შემნახველი სალაროს ღია სეიფთან იდგა. მის განზრახვას მკვეთრმეტყველურად მოწმობდა რეგოლვერი, რომელიც დამიზნებული ჰქონდა ფოსტის მუშაკებს, სადაც შემნახველი სალაროც არის.

მ. ფიფია გაეშურა მეზობელ სანატორიუმ „ტალღაში". სანატორიუმის მთავარმა ექიმმა შარმაზან კაპანაძემ, მძღოლმა აშოტ ვოსკანიანმა და მიხეილ ფიფიამ ეს ამბავი მილიციას აცნობეს და ფოსტისაკენ გაექანენ.

უცნობს ფოსტის კარში შეხვდნენ. და თუმცა იცოდნენ, რომ ბანდიტი შეიარაღებული იყო, შეებნენ. თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დამნაშავემ ვერც კი მოასწრო იარაღი ეხმარა. მას წაართვეს ნაღანი და შემნახველ სალაროდან გატაცებული 1.050 მანეთი.

დამნაშავე აღმოჩნდა 25 წლის სოჭელი ივანე ზიმჩენკო.

მ. ფიფია, შ. კაპანაძე და ა. ვოსკანიანი შეიარაღებული დამნაშავის შეპყრობისას მამაცობის გამოჩენისათვის საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ საპატიო სიგელებით დააჯილდოვა.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მიერ საუკეთესო ჟურნალისტური ნაწარმოებისათვის დაწესებულია **ათი ყოველწლიური პრემია.** საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი შეგახსენებთ დებულებას სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრემიების შესახებ.

პრემიები მინიჭებათ საუკეთესო პუბლიცისტური სტატიების, ნარკვევების, ფელეტონების, რეპორტაჟების, ფოტოების, ნახატების, ჟურნალ-გაზეთების გაფორმებისა და წიგნებისათვის (პუბლიცისტიკა, ნარკვევი, დოკუმენტური მოთხრობა და სხვა).

გარდა ამისა, **ორი პრემია** დაწესებულია რაიონულ (საქალაქო) და მრავალტირაჟიან გაზეთებში გამოქვეყნებული საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრებისათვის.

პრემირებული ნამუშევრების ავტორებს მიენიჭებათ სსრ **კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ლაურეატის წოდება,** გადაეცემათ **სამკერდე მედალი, საპატიო დიპლომი** და **ფულადი ჯილდო 500 მანეთის ოდენობით.**

პრემიების მინიჭება ხდება პრესის დღეს წინა წელს გამოქვეყნებული ნამუშევრებისათვის.

რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის redაქციებმა, საქდესმა, ახალი ამბების სააგენტომ და გამომცემლობებმა სათანადო მასალები უნდა წარმოადგინონ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობაში (ლენინის ქ. 14) **არა უგვიანეს 1 თებერვლისა.** ნამუშევრები უნდა გამოიგზავნოს 3 ცალად (სატელევიზიო გადაცემები — კინოფირზე, რადიოგადაცემები — ხმის ჩამწერ ფირზე), უნდა მიეთითოს ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი (ფსევდონიმი), მუშაობის ადგილი და მისამართი, გამოცემის სახელწოდება და გამოქვეყნების დრო.

პრემიების მისანიჭებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ერთი ავტორის, ისე ავტორთა კოლექტივის ნაწარმოები.

ახალი ბანერი

ბერლინი, 22 იანვარი (საკდესი). ბონელ ფაშისტებს ბერლინში ბანერი ეკიდა. ეს ბანერი ეწერა: „ბერლინელ ფაშისტებს — ბონელ ფაშისტებისგან". ბონელ ფაშისტებს ბანერი ეკიდა: „ბერლინელ ფაშისტებს — ბონელ ფაშისტებისგან". ბერლინელ ფაშისტებს ბანერი ეკიდა: „ბონელ ფაშისტებს — ბერლინ